

1942

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებითა და განკარგულებითა

პ რ ი მ ბ უ ლ ი

№ 8—9	წელიწადი მთავრად	1942 წ.
-------	------------------	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

83-

1. ბრძანება № 4424 1942-43 სასწავ. წლის და-
წყების წინ მასწავლებელთა მეთოდური თათ-
ბირების ჩატარების შესახებ 2
2. მითითებანი—დაწყებითი, არასრულ საშუა-
ლო და საშუალო სკოლებში 1940 და 41 წ.
გამოცემული პროგრამების გამოყენების შესა-
1942-43 სასწავ. წლისათვის 5
3. რაიონებისა და ქალაქების განათლების გან-
ყოფილებათა გამგეებს, დაწყებითი, არასრულ-
ლი საშუალო და საშუალო სკოლების დირექტ-
ორებს (გამგეებს) და სამოქალაქო ისტო-
რიის მასწავლებლებს საქართველოს სსრ სკო-
ლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების
შედეგების შესახებ 1941-42 სასწავლო წლის
მეორე ნახევარში 20
4. ცირკულარულად—1942-43 სასწავ. წ. მო-
სწავლეთა მიერ რეგულაციის მომპირნეობით
ზაფხულისა და ფანქრებისა და კალმების დაზო-
გვით გამოყენების შესახებ 36
5. ბრძანება № 4497 ქიმიის სწავლების შესახებ
სამამულო ომის პირობებში 38
6. ცირკულარულად—1942-43 სასწავლო წლის
დაწყების შესახებ 43
7. ცირკულარულად—1942-43 სასწავლო წლი-
სათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . . 45

3845





ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4424

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. „3“ სექტემბერი

1942—43 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა მეთოდური
თათბირების ჩატარების შესახებ

მასწავლებელთა თათბირების ორგანიზებულად ჩატარების
უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

I

1. მასწავლებელთა რაიონული მეთოდთათბირები ჩატარდეს
25 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე.

2. მასწავლებელთა რაიონულ თათბირების პლენარულ სხდო-
მებზე დაისვას შემდეგი საკითხები:

ა) განათლების განყოფილების მოხსენება ახალი 1942-43
სასწავლო წლის ამოცანების შესახებ, ბ) სასკოლო ინსპექტორის
მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-სა და სსრ კავშირის სახკომსაბქოს
1942 წლის დადგენილების საფუძველზე მოსწავლეთა და მასწავ-
ლებელთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის მიმდი-
ნარეობის შესახებ გ) რაიონის სამხედრო კომისრის მოხსენება მო-
სწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული
მომზადების ამოცანების შესახებ.

3. პლენარულ სხდომის პირველ საკითხზე მომხსენებლებმა შე-
მდეგი ძირითადი მომენტები უნდა გააშუქონ:

ა) ცალკე სასწავლო დისციპლინების კურსის სწავლების ორგა-
ნიული დაკავშირება სამხედრო-თავდაცვითი ღონისძიებების გატა-
რებისთან.

ბ) სკოლის რეჟიმის განმტკიცება და ორგანიზებულობის და-
წერგვა სასწავლო მუშაობაში;

გ) სამხედრო-სანიტარული და თავდაცვითი წესებისა და ღო-
ნისძიებების საფუძვლიანი შესწავლა მასწავლებლებისა და მოსწავ-
ლეების მიერ, ამ მიზნით ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის
ფართოდ გაშლა;



დ) მასწავლებელთა და მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა დოებრივ-სასარგებლო მუშაობაში—სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა, ლითონის ნამსხვრევების შეგროვება, წამლეულ მცენარეთა შეგროვება, საზოგადოებრივ საკუთრების დაცვა, წითელ-არმიელთა ოჯახების დახმარება და სხვ.

გ) მასწავლებელთა და უფროს კლასების მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმა მოსახლეობაში სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა და თავდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.

ბ) მოხსენებაში—სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მასწავლებელთა მონაწილეობის მიმდინარეობის შესახებ, ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული საუკეთესო სკოლების, მოსწავლეთა რაზმების, რაზმების ხელმძღვანელებისა და მოსწავლეების მიერ ჩატარებული მუშაობა, ამ დარგში არსებულ დეფექტები, და უნდა დაისახოს ღონისძიებანი ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

4. სამხედრო-ფიზკულტურულ და სამხედრო-სანიტარული მომზადების შესახებ მომხსენებელმა ფართოდ უნდა გამოიყენოს ამ დარგში ჩატარებული ცალკეული სკოლების მუშაობის კონკრეტული მაგალითები. მოწინავე სკოლასა და სამხედრო ხელმძღვანელებთან ერთად გამოაყვინოს ცუდად მომუშავე სკოლები და ხელმძღვანელები და დასახოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო ფიზკულტურული მომზადების საქმის სამამულო ომის ამოცანების მოთხოვნილების სიმალღებეაყვანას.

II

პლენარული სხდომის შემდეგ ჩატარდეს ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციების მუშაობა, შემდეგი დღის წესრიგით.

1. ყველა კლასის და სასწავლო დისციპლინის სექციების სხდომებზე პირველ საკითხად დასმული და განხილული იქნას: სსრ განსახკომის „მითითებანი დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში 1940—41 სასწავლო წელში გამოცემული სასწავლო დისციპლინების პროგრამების 1942—43 სასწავლო წლისათვის გამოყენების შესახებ და ამ მითითებათა საფუძველზე შემუშავდეს ღონისძიებანი სასწავლო პროგრამების წლის განმავლობაში მთლიანად და ხარისხოვნად დამუშავების უზრუნველსაყოფად.

2. დაწყებითი კლასებისა, მშობლიური და რუსული ენებისა და ლიტერატურისა, გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებელთა სექციებზე განხილული უნდა იქნეს საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის დადგენილებანი სამამულო ომის პირობებში მშობლიური



ენისა და ლიტერატურისა, რუსული ენისა და ლიტერატურისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ (იხილე სსრ განსახკომის ბათა და განკარგულებათა კრებული 1941 წლ. დეკემბერი) და აგრეთვე ცირკულიარული წერილი „სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შესახებ 1941--42 სასწავლო წლის მეორე ნახევარში“;

აღნიშნულ დადგენილებათა განხილვისას შეჯამდეს რაიონის სკოლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები, გათვალისწინებული იქნას სკოლებისა და მასწავლებლების მიღწევები და ნაკლი და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი;

3. ქიმიის მასწავლებელთა სექციაზე ა) განხილულ იქნას განსახკომის 1942 წლის 11 აგვისტოს ბრძანება „ქიმიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ ბ) მოსმენილი იქნას რაიონის ქალაქის ერთერთი საშუალო-სკოლის ქიმიის მოწინავე მასწავლებლის მოხსენება: როგორ გარდაეჭმენი ქიმიის სწავლება ომის ამოცანებთან დაკავშირებით;

4. ბიოლოგიის მასწავლებელთა სექციაზე—განხილულ იქნას განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 18/10 დადგენილება „ბუნებისმეტყველების სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ აგრეთვე მოსმენილი იქნას მოხსენება—სანიტარულ-თავდაცვის ღონისძიებანი და მათი დაკავშირება ბიოლოგიის სწავლებასთან სამამულო ომის პირობებში;

5. ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელთა სექციაზე განხილული იქნას სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება სამამულო ომის პირობებში ამ დისციპლინების სწავლების შესახებ. აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენებანი სამხედრო ხასიათის მანქანების გაცნობისა და სამხედრო შინაარსის ამოცანების ამოხსნის შესახებ.

6. სამხედრო ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული საქმის ხელმძღვანელთა სექციაზე დაიგეგმოს საკითხები 1942-1943 სასწ. წელში სამხედრო-ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული მომზადების შესახებ და დამუშავდეს სასწავლო მასალა 1943 სასწ. წლის პირველი 15 დღისა;

7. ფიზკულტურის მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილი იქნეს მოხსენება—„ფიზკულტურული მუშაობა სკოლაში ომიანობის პირობებში“;

III

1. მასწავლებელთა რაიონულ თათბირების ორგანიზებულად და მომზადებულად ჩატარების მიზნით განათლების განყოფილებათა გამგებმა მოიწვიონ დირექტორებისა და მასწავლებელთა აქტივის

თათბირი, თათბირზე განიხილონ შეთოდური თათბირის დღის წესრიგი, გამოყონ და დაამტკიცონ თანამომხსენებლები, გაუწიონ მათ სათანადო კონსულტაცია და უზრუნველყონ თათბირზე მათი მომხადებულად გამოსვლა;

2. მასწავლებელთა რაიონულ თათბირებზე მოსმენილ მოხსენებების განხილვის შედეგად დასახულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი 1942-43 სასწავლო წელში სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის სამამულო ომის ამოცანების სიმაღლეზე აყვანის უზრუნველსაყოფად;

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ვამტკიცებ საქართველოს სსრ
განათლების სახალხო კომისარი
გ. კიკნაძე
1942 წ. 31 აგვისტო

მითითებანი დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1940 და 41 წელში გამოცემული პროგრამების გამოყენების შესახებ 1942-43 სასწავლო წლისათვის

1942 წელში დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო პროგრამები არ იქნება დაბეჭდილი, 1942-43 სასწავლო წელს სკოლებმა უნდა გამოიყენონ 1940 და 1941 წელს გამოცემული პროგრამები.

1940 და 1941 წელს დაბეჭდილი პროგრამების გამოყენებისას მტკიცედ ჩხელმძღვანელებს შემდეგი მითითებებით.

1. 1942-43 სასწავლო წელში 1940 და 1941 წელს გამოცემულ პროგრამებთან შედარებით, მხოლოდ ზოგიერთი ცვლილება შეტანილი: ა) სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განსახკომის 1940 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებისა, და განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 7 მარტის დადგენილების საფუძველზე ბიოლოგიისა, ქიმიისა, ფიზიკისა, ხაზვისა და გეოგრაფიის პროგრამებით გათვალისწინებული ზოგიერთი თემა უფრო ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი;

ბ) ამას გარდა, ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მიერ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებთან



შესაბამისად, განსახკომის სათანადო ბრძანებებისა და კოლეგიის დადგენილებათა საფუძველზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა, გეოგრაფიისა, მათემატიკისა და სხვ. სასწავლო დისციპლინების პროგრამების ზოგიერთ თემას ქართულ და რუსულ ლიტერატურაში ახალ ნაწარმოებთა შესწავლა და ახალი საკითხები დაემატა. მითითებანი ამ ცვლილებების შესახებ ცალკე სასწავლო დისციპლინებში მოცემულია ქვემოთ.

ქართული ენა და ლიტერატურა

დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ამოცანების შესაბამისად, 1942-43 სასწავლო წლისათვის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამებში შემდეგი ცვლილებებია შეტანილი:

1. I—IV კლასები.

მშობლიური ენისა და სუფთაწერის პროგრამებში ცვლილება არ არის შეტანილი.

იპიზონით, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაწყებითი სკოლის მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის, გმირობისა და მამაცობის, მტრისადმი სიძულვილისა და შეურთებლობის გრძნობის, სამშობლოსათვის თავდადების უნარისა და ჩვევების აღზრდა, ზოგიერთი ნაწარმოები პროგრამასა და სახელმძღვანელოში შეცვლილი იქნა ახალით.

ა) დაწყებითი სკოლის მე-3 კლასის პროგრამიდან ამოღებულია:

1. ა. მაშაშვილი—საოქტომბრო (ლექსი),
2. ა. ყაზბეგი—დათვის მოკვლა (ნაწყვეტი მოთხ. „ელგუჯა“-დან),
3. ი. გრიშაშვილი—მეზღვაურის სიმღერა (ლექსი),
4. გ. ქუჩიშვილი—წითელ მხედარს (ლექსი),
5. ტიხომიროვი—მესაქე (მოთხრობა),
6. ა. მაშაშვილი—მაისობა (ლექსი),
7. ს. შანშიაშვილი—ხასანის ტბასთან (მოთხრობა).

ამავე კლასში, ქრესტომათიაში დაბეჭდილ საკითხავ მასალებიდან ამოღებულია:

1. შ. მღვიმელი—გვრიტი (ლექსი) და 2. სერაფიმოვიჩი—სასწაული (მოთხრობა).

მათ ნაცვლად პროგრამასა და სახელმძღვანელოდან შეტანილია:

1. ი. იანოვსკი—გოგონა გვირგვინში (მოთხრობა),
2. ი. მოსაშვილი—სისხლი სისხლისა წილ (ლექსი),
3. ა. აბაშელი—მრისხანე ანგარიში (ლექსი),
4. ა. აბაშელი—დედა და შვილი (ლექსი),
5. გ. ლეონიძე—წინ, სტალინთურო არწივო (ლექსი),
6. მ. ჯაფარიძე—პარტიზანის შვილი ახალ სამშობლოში (მოთხრობა).
7. დ. შენგელია—გმირი (მოთხრობა),
8. გ. ლეონიძე—ჩვენი მაისი (ლექსი), და
9. მ. ჯაფარიძე—სისხლი შურს იძიებს (მოთხრობა).

ბ) დაწყებითი სკოლის მე-4 კლასის პროგრამიდან და სახელმძღვანელოდან ამოღებულია:

1. აკ. წერეთელი—ბრიყვი და ჭკვიანი,
2. აკ. წერეთელი—ბატები (კრილოვიდან),
3. გ. ტაბიძე—მხარი მხარს,
4. მ. რასკოვა—შტურმანის მოგონება,

მათნაცვლად პროგრამასა და ქრესტომათიაში შეტანილია:

1. ა. მაშაშვილი—წერილი სამამულო ომის გმირებს.
2. ლ. მეგრელიძე—ქართველ გმირ მფრინავებს.
3. პ. სიმონოვი—მარინა ლახნო,
4. გ. ცეცხლაძე—გასტელოს ხსოვნას,
5. ე. პოლუმორდვინოვი—გოჩას საჩუქარი,
6. გ. ქუჩიშვილი—წითელ არმიელთა სიმღერა,
7. ი. გრიშაშვილი—ორი სიტყვა,
8. აკ. წერეთელი—შაჰ-აბაზი და ქართველი ქალი,
9. ა. აბაშელი—ხევსური ტანკისტი,
10. ვირტა—პარტიზანები,
11. ა. აბაშელი—ვიყოთ ფხიზელი,
12. ა. ჩაჩიბაია—პატარა გმირი,
13. ა. წერეთელი—ღამურა.
14. ვაჟა-ფშაველა—პაპიჩემის ანდერძი.
15. ი. გოგებაშვილი—იავნანამ რა ჰქნა.
16. შ. მღვიმელი—ექსკურსია.

დაწყებითი სკოლის III და მე-IV კლასისათვის ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლექსი და მოთხრობა, რომელიც 1942/43 სასწავლო წლისათვის ახლად იქნა შეტანილი პროგ-



რამაში, დაბეჭდილია სათანადო სახელმძღვანელოებში (1942 წ. გამოცემანი).

გარდა ამისა, მშობლიური ენის მასწავლებელმა დაწყებით სკოლაში მშობლიური ენის სწავლების დროს თავის მუშაობას საფუძვლად უნდა დაუდვას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1941 წლის 1 ნოემბრის დადგენილებანი „მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ მოცემული მითითებები.

II. მე-5—7 კლასებში.

ა) საშუალო სკოლის მე-5—7 კლასების მშობლიური ენისა და მეტყველების განვითარების პროგრამაში ცვლილებები არ არის შეტანილი.

1942—43 სასწავლო წლისათვის არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მე-5 კლასის მშობლიურ ლიტერატურის პროგრამაში შეტანილია:

1. გ. ქუჩიშვილი—დედა და შვილი (ლექსი)
2. ა. აბაშელი—ბიოგრაფია.
3. ა. აბაშელი—სახალხო ლაშქარი (ლექსი).
4. გ. ტაბიძე—მამულო, სიცოცხლეო (ლექსი).
5. გ. ტაბიძე—ლაშქრული (ლექსი).
6. ს. ეული—არასდროს (ლექსი).
7. ს. ეული—სამშობლოსათვის, სტალინისათვის (ლექსი).
8. ა. მაშაშვილი—ომი ომს (ლექსი).
9. ა. მაშაშვილი—ბელადის მოწოდებაზე (ლექსი).
10. ლ. ქიაჩელი—ბიოგრაფია.
11. ლ. ქიაჩელი—მამა და შვილი (მოთხრობა).
12. დ. შენგელაია—ბიოგრაფია.
13. დ. შენგელაია—მეოთხე ძმა (მოთხრობა).
14. ს. კლდიაშვილი—ბიოგრაფია.
15. ს. კლდიაშვილი—ერთი დილის ამბავი (მოთხრობა).

ზემოაღნიშნული ყველა ლექსი და მოთხრობა, მოცემულ მწერლის ბიოგრაფიასთან ერთად, დაბეჭდილი იქნება მე-5 კლასის ახალ სახელმძღვანელოში.

ბ) არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის მე-6 - 7 კლასის მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამაში ცვლილებები არ არის შეტანილი. ამ კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 1 ნოემბრის დადგენილებით („მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირო-

ბებში“ იხილეთ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1941 წ. № 12).

III. მე-8—10 კლასები:

საშუალო სკოლის მე-8—10 კლასის მშობლიურ ლიტერატურის პროგრამებში 1942-43 სასწავლო წლისათვის პროგრამული მასალა შეცვლილი არ არის, მაგრამ საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო მასალის სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებას. ამის გამო მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სწავლების დროს მტკიცედ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1941 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით („მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ იხილეთ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ. № 12).

РУССКИЙ ЯЗЫК И ЛИТЕРАТУРА В НЕРУССКИХ ШКОЛАХ.

В связи с задачами, поставленными перед школами в дни Отечественной войны, в результате пересмотра программного материала, Наркомпросом Грузинской ССР внесены дополнения. Материал по грамматике, предусмотренный для каждого класса программой 1941/42 учебного года, остается без изменения и на 1942/43 учебный год. Внесенные дополнения, главным образом, касаются литературного материала для чтения и изучения. Этот новый материал, сравнительно с общим объемом программного материала, невелик, но он вносится в учебники отдельных классов как обязательный материал для прохождения. В связи с этим из официальной программы 1941/42 учебного года вынадеает часть литературного материала, которая заменяется этим новым материалом с обязательным сохранением общего количества материала по каждому классу, именно: 51 название для 5 класса, 48—для 6 класса, 41 название для 7 класса и т. д.

Материал, который вносится в учебники русского языка отдельных классов, увязан с воспитательными задачами школы в грозные дни Отечественной войны и отражают подвиги героев этой войны, зверства фашистов,

работу в тылу и д. Учебники отдельных классов дополнены следующими материалами:

а) в учебник IV класса: „Соловей“, „Черный кот“, „А ты“, „Родная улица“, „Ильянгинен“, „Царь и зяблик“.

б) в учебник V класса; „Всегда готов“, „Подвиг разведчика Мисанова“, „Зенитчики“, „Маленький Хозе“, „Лесенка“, „Манька-пожарник“.

в) в учебник VI класса: „Четверка дружная ребят“, „Граница“, „Маленький герой“, „Капитан Гастелло“, „Мать и сын“, „Современники“, „Долг“, „Бесстрашие“.

г) в учебник VII класса: „Из воспоминаний матери Николая Гастелло“, „Сообщение Советского информбюро“, „Воистину велик советский человек“, „По зову вождя“, „На поле битвы“, „Сын героя“, „Ленинградским детям“, „Товарищ“.

д) в учебник VIII класса: „Речь председателя государственного Комитета обороны и народного Комиссара обороны товарища И. В. СТАЛИНА“. Его же речь 7 ноября 1941 г. на параде Красной Армии на Красной Площади в Москве“, „Новогодняя речь председателя президиума Верховного Совета СССР тов. М. И. Калинина“, „Бородино“, „Ясная Поляна“, „фашисты осквернили Ясную Поляну“, „В темной роце густой“, „Вместо письма“, „Девушка в шинели“, „Один в танке“, „Политрук М. Кропачева“, „Исрафил Мамедов“, „Новый год“ — Табидзе.

В 1942/43 учебном году в программу 9 — 10 классов по русской литературе изменения не вносятся. При проработке материала преподаватель особое внимание должен обратить на увязку материала с задачами Отечественной войны, для чего им руководствоваться постановлением Коллегии Наркомпроса от 31 октября 1941 года „О постановке изучения русского языка и литературы в школах Грузинской ССР в условиях Отечественной войны“ (напечатано в сборнике приказов № 12, 1941 года) и методическим письмом „Перестроим работу по русскому языку и литературе в соответствии с задачами Отечественной войны“ изд. Института школ.



ა) 1942-43 სასწავლო წელს სამოქალაქო ისტორიის სწავლება უნდა წარიმართოს 1941-42 სასწავლო წელში სამოქალაქო ისტორიის კურსის პროგრამებში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სხვა ცვლილება წელს ისტორიის პროგრამაში შეტანილი არ არის. ამგვარად, წელს სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებმა საპროგრამო კურსის დამუშავება უნდა აწარმოონ: 1941-42 სასწავლო წელში ისტორიის კურსის გავლისა და ისტორიის კურსის საათების განაწილების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის მითითებების საფუძველზე. ეს მითითებანი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე, დაბეჭდილია განსახკომის ბრძანებათა და განკ. კრებულში, 1942 წ. № 2—3,

სამოქალაქო ისტორიის კურსის საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებისა და აგრეთვე სამოქალაქო ისტორიის კურსის სწავლების მთავარი საკითხების შესახებ მითითებანი მოცემულია საქართველოს განსახკომის სადირექტივო წერილში — „სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შესახებ 1941-42 სასწავლო წლის მეორე ნახევარში“ (იხილეთ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის 1942 წ. № 8—9).

ეს წერილი ისტორიის მასწავლებლებმა გულდასმით უნდა შეისწავლოს და გამოიყენონ ყოველდღიურ მუშაობაში.

ბ ე რ ბ რ ა ვ ი ა

დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის გეოგრაფიის პროგრამები ძირითადად უცვლელი რჩება, მხოლოდ მათი გავლისას თემატიკურსა და გაკვეთილის გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის ცალკე საკითხების გაღრმავებულად შესწავლის მიზნით ის ცვლილებები, რაც მოცემულია:

ა) სსსრ განსახკომის 1940 წლ. 8—X, ბრძანებაში „სოფლის სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და მითითებებში „გეოგრაფიის და სხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამების თეორიული კურსის სათანადო თავების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ. იხ. სახელმძღვანელო მასალების კრებულის სახელგამის გამოცემა 1940 წ.

ბ) სსსრ განსახკომის კოლეგიის დადგენილებაში „გეოგრაფიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ (იხ. სსსრ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის 1941 წლ. № 12, გვ. 7—10).

გ) ღონისძიებებში—პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეობა რამდენადმე მომზადების შესახებ ქალაქის საშუალო სკოლაში: (ნსსსრ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1941 წ. № 4, გვ. 15—16).

მე-5 კლასში თემისათვის „გეგმა და რუკა“ დამატებით გამოყოფილი 8 საათი გადმოტანილი უნდა იქნეს მეოთხე მეოთხედთან პირველ მეოთხედში ამ 16 საათიანი თემის უწყვეტად დასამუშაებლად.

მათემატიკა, ფიზიკა და ასტრონომია

1942-43 სასწავლო წლისათვის პროგრამები მათემატიკაში, ფიზიკაში და ასტრონომიაში უცვლელად რჩება.

არითმეტიკის კურსის გავლისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამაში მოცემულ პრაქტიკული საკითხების შესწავლას, როგორცაა: საანგარიშეს გამოყენება, ზეპირი ანგარიშის გამოყენების ხერხები, პროცენტების ცხრილის შედგენა, არითმეტიკული ცოდნის გამოყენებას სოფლის მეურნეობასა და ქალაქის წარმოების პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში და სხვა.

არასრული საშუალო სკოლა დამთავრებულთ ხშირად არასაკმარისად აქვთ შეთვისებული არითმეტიკული ამოცანების ამოხსნის ჩვევები. ამიტომ ამ ჩვევების განვითარებას 1942-43 სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

მოგვეყავს იმ ტიპური ამოცანების სია, რომელთა ამოხსნას თავისუფლად უნდა ფლობდეს მე-6 კლასში გადასული მოსწავლე.

1. ამოცანები ორი უცნობი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამისა და სხვაობის მიხედვით;

2. ამოცანები ორი უცნობი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამისა და სხვაობის და ჯერადის შეფარდების მიხედვით;

3. ამოცანები მონაცემთა და საძიებელ სიდიდეთა გათანაბრებაზე, რომლებიც ერთერთი უცნობის გამორიცხვით ამოიხსნება;

4. ამოცანები დაშვებაზე;

5. ამოცანები, რომლებიც ერთი სიდიდის მეორეთი შეცვლას გზით ამოიხსნება;

6. ამოცანები უცნობი რიცხვის ნაწილის პოვნაზე;

7. ამოცანები მოცემული ნაწილით თვით რიცხვის პოვნაზე.

8. ამოცანები მოძრაობაზე:

ა) სხეულები ერთმანეთს ხვდებიან;

ბ) სხეულები ერთმანეთს ეწევიან;

9. ამოცანები მუშაობაზე;

10. ამოცანები საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებაზე.

11. ამოცანები კომპონენტებს შორის დამოკიდებულებაზე;

12. ამოცანები დროის გამოანგარიშებაზე;
13. ამოცანები პროპორციულ სიდიდეზე;

- ა) მარტივი სამთა წესი,
- ბ) რთული სამთა წესი;

14. ამოცანები პროცენტებზე:

- ა) მოცემული რიცხვის პროცენტის პოვნა;
- ბ) რიცხვის პოვნა მოცემული პროცენტის მიხედვით;
- გ) პროცენტული შეფარდების პოვნა;

დ) ფინანსური პროცენტული გამოანგარიშება მარტივ პროცენტთა ზოგადი ფორმულით და ფორმულით, რომელიც გამოსახავს სიდიდის ნაზარდ მნიშვნელობას.

15. ამოცანები პროპორციულ გაყოფაზე:

ა) რიცხვის გაყოფა მოცემულ რიცხვთა პროპორციულ ნაწილებად;

ბ) რიცხვის გაყოფა რამდენიმე ნაწილად მისი ცალკეული ნაწილებს შორის მოცემულ შეფარდებით, როდესაც პირველი შეფარდების მიმდევნო წევრი უდრის მეორე შეფარდების წინა წევრს, ხოლო მეორე შეფარდების მიმდევნო წევრი უდრის მესამე შეფარდების წინა წევრს;

გ) რიცხვის რამდენიმე ნაწილად გაყოფა მის ცალკეულ ნაწილებს შორის მოცემულ შეფარდებით იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი შეფარდების მიმდევნო წევრი არ უდრის შემდეგი შეფარდების წინა წევრს;

- დ) რიცხვის გაყოფა მოცემული რიცხვის უკუპროპორციულად;
- ე) რთული პროპორციული გაყოფა.

როგორც არითმეტიკული, ისე ალგებრული, გეომეტრიული და ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ამოხსნის გეგმის შედგენის ჩვევის გამომუშაებას, ამოცანის პირობის მოკლედ ჩაწერას, გამოანგარიშებათა წესიერ დალაგებას და გარკვევით გაფორმებას, როგორც რეულში, ისე დათაზე; მოსწავლეებს უნდა შეეძლოს მოგვეცნ ამოცანის ამოხსნის მსვლელობის აზრიანი, ზუსტი და საკმაოდ დასაბუთებული ახსნა-განმარტება, როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

მათემატიკურ გამოანგარიშებისა და გარდაქმნების ჩვევათა განვითარება საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლების ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მათემატიკის სხვადასხვა განყოფილებიდან ბევრი მაგალითისა და ამოცანის ამოხსნის საშუალებით.

მათემატიკის ყველა განყოფილებიდან მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნისას დაცული უნდა იყოს გარკვეული სისტემატიზაცია ურობა და თანმიმდევრობა სავარჯიშოების შერჩევაში. მოსწავლეთათვის მისაცემი მაგალითები და ამოცანები სირთულის მხრივ უნდა აყვანილ იქნას სათანადო (საკმაო) სიმძლავრე.

საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით მე-8 კლასში აღგებრიდან უნდა შევარჩიოთ ისეთი მაგალითები და ამოცანები, რომლებიც არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ზოგიერთი ძირითადი საკითხების გამეორების საშუალებას მოგვცემს. მაგალითად, კვადრატული განტოლების მაგალითების შერჩევის დროს საკმაო რაოდენობით უნდა მივცეთ მრავალწევრთა მნიშვნელოვანი და ასოთი კოეფიციენტებიანი მაგალითები, რაც უზრუნველყოფს გამეორებითი ხასიათის ვარჯიშობას ალგებრაში იგივეურ გარდაქმნებზე.

გეომეტრიაში, გარდა გამოანგარიშების ამოცანებისა, უნდა ამოვხსნათ ტიპური ამოცანები აგებაზე,

მიზანშეწონილია პრაქტიკაში შემოვიღოთ თეორემების დამტკიცება არა მარტო ზეპირად დაფასთან, არამედ წერითაც.

მათემატიკის კურსის სათანადოდ ათვისებისათვის და მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის ჩვევების განმტკიცებისათვის, გარდა სასკოლო მუშაობისა, საჭიროა სისტემატური საშინაო მუშაობა. მათემატიკაში საშინაო სამუშაოების სწორი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. საშინაო სამუშაოს შესრულების პროცესში მოსწავლემ უნდა მოამზადოს გაკვეთილისათვის თეორიული მასალა და ამოხსნას ამოცანები. ცხადია, რომ ამ სამუშაოების შედეგიანობა მთლიანად დამოკიდებულია ამ მუშაობის რაციონალურ ორგანიზაციაზე, რისთვისაც საჭიროა შემდეგი:

1. საშინაო დავალებათა გაკვეთილებედ დაყოფილი გეგმა, სადაც მითითებული უნდა იყოს სახელმძღვანელოს პარაგრაფები თეორიული მასალის შესასწავლად და განსამეორებლად, ამოცანებისა და მაგალითების ნომრები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა ამოხსნან შემდეგი გაკვეთილისათვის.

2. მოსწავლეთა მიერ საშინაო სამუშაოს რეგულარულად შესრულების ყოველდღიური კონტროლი;

3. სამუშაო რეგულაციის პერიოდული განხილვა;

4. გეგმიანი კონსულტაციების ორგანიზაცია მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალების შესასრულებლად.

ფიზიკის კურსის პირველდაწყებითა შესწავლის დროს ფიზიკური კანონების შესწავლის ძირითად ხერხს წარმოადგენს ექსპერიმენტი;

მეორე კონცენტრში კი მოსწავლეებს უნდა უჩვენოთ მათემატიკური მეთოდების მნიშვნელობა არა მარტო ფიზიკის კანონების განმარტების ხეისათვის, არამედ მათი დადგენისა და ახალიზისათვის, მაუხედავად ამისა საშუალო სკოლაში ექსპერიმენტს ფიზიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობამ სრული გამოყენება უნდა ჰპოვოს მუშაობის მეთოდებში. კავშირს ფიზიკის სწავლებისა ცხოვრების გამოცდილებასთან, მოსწავლეთა ლაბორატორიულ მუშაობას, ექსკურსიებს, ფიზიკური კანონების გამოყენებას აზოცანების ამოსახსნელად, ყველა ამას სათანადო აღვილი უნდა ეთმობოდეს სწავლების მთელ პროცესში.

ფიზიკის პროგრამაში ჩამოთვლილი ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი დრო მცირე ნაწილს შეადგენს საათების საერთო რიცხვისას, ამიტომ ამ სამუშაოთა რიცხვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს; შესაძლებელია მხოლოდ ერთი სამუშაოს შეორთი შეცვლა, მაგრამ იმ პირობით, რომ ლაბორატორიული სამუშაო ორგანიზულად იყოს დაკავშირებული თეორიული კურსის შინაარსთან.

არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებმა ყოველდღიური მუშაობა უნდა აწარმოონ ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ 1939—42 წლებში მიღებული დირექტივებისა და კოლეგიის დადგენილებების საფუძველზე;

იხილეთ:

ა) საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1939 წლის თებერვლის დადგენილება;

ბ) საქართველოს სსრ განსახკომის 1939 წლის 2 ნოემბრის ბრძანება;

გ) საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის დადგენილება 1940—41 სასწავლო წლის I ნახევარში მათემატიკის სწავლების შედეგების შესახებ 1941 წ. 5 თებერვალი;

დ) დადგენილება საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის მათემატიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში, 1941 წ. 31 ოქტომბერი;

ე) დადგენილება საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა— ფიზიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში, 1941 წ. 6 ნოემბერი.

ვ) საქართველოს სსრ განსახკომის 1942 წლის 23 ივლისის ბრძანება საშუალო სკოლების 1941-42 სასწავლო წლის გამოსაშვები, მე-10 კლასების, წერითი გამოცდების შედეგების შესახებ ალგებრაში და სხვ. საქ. სსრ განსახკომის 1940 წ. 8 ოქტომბრის, „მითითებანი სოფლის სკოლებში ბიოლოგიისა, ქიმიისა, ფიზიკისა, მათემატიკისა, გეოგრაფიისა და ხაზვის პროგრამების თეორიული კურსის სათანადო თემების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ.“



დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით ბუნებისმეტყველებისათვის გათვალისწინებული საათები 1942-43 სასწავლო წელში უცვლელი რჩება.

უცვლელად რჩება, ძირითადად, ბუნებისმეტყველების პროგრამებიც, მხოლოდ მათი გავლისას, თემატიკურსა და გაკვეთილის გეგმებში პროგრამის ცალკე საკითხების გაღრმავებულად შესწავლის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ცვლილებები, რაც მოცემულია:

ა) სსსრ განსახკომის ბრძანებაში სოფლის სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და მითითებებში ბიოლოგიისა და სხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამების თეორიული კურსის სათანადო თავების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ (იხ. სახელმძღვანელო მასალების კრებული. სახელგამის გამოცემა, 1940 წ.).

ბ) ღონისძიებებში—პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენადმე მომზადების შესახებ ქალაქის საშუალო სკოლაში (იხ. სსსრ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1941 წ. № 4, გვ. 12).

გ) სსსრ განსახკომის კოლეგიის დადგენილებაში „ბიოლოგიის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში“ (იხ. განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1941 წ. № 12, გვ. 19—21).

„შეთასების ნორმები ბუნებისმეტყველებაში“ დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ. მასწავლებლებმა ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში შესაძლებელია იხელმძღვანელონ შემდეგით:

1) სსსრ განსახკომის დადგენილება „ველურ წამლეულ მცენარეთა შეკრებაში სკოლების მონაწილეობის შესახებ“ (იხ. განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1941 წ. № 8—9, გვ. 11—13).

2. „გარდაეჭმნათ ბუნებისმეტყველების სწავლება სამამულო ომის შესაბამისად“. პ. მეტრეველი. დაწყებითი და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.

3. „სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი“ ა. მაჩაბელი და მ. ნოზაძე. სახელგამის გამოცემა.

4. „სკოლის მონაწილეობა სოფლის საგაზაფხულო შრომა-საქმიანობაში. ალ. მაჩაბელი. დაწყებითი და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა—1942 წ.

5. „ყვავილოვან მცენარეთა სქესობრივი გამრავლების შესახებ საშუალო სკოლაში“. მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.



6. „ბიოლოგია V კლასში“. პ. მეტრეველი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
7. „მცენარეები IV კლასში“. მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
8. „ბრძოლა დარვინიზმისათვის“. ე. ვასაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
9. „მწერების შესწავლის მეთოდთა“. პ. მეტრეველი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
10. „მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ბოტანიკაში“. ვ. კაპანაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
11. „საშუალო სკოლის მიწის ნაკვეთი“. მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
12. „საზაფხულო დავალებანი ბიოლოგიაში“. თ. მეტრეველი და მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
13. „მცენარეთა სიტემატიკა საშუალო სკოლაში“. მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
14. „სკოლის საცდელ ნაკვეთზე მუშაობა“. მ. ნოზაძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
15. „ჩაის კულტურა სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე“. შ. ჩუბინიძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
16. „ბუნებისმეტყველების მეთოდთა დაწყებით სკოლაში“. ელჩანიშვილი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
17. „11 რესპუბლიკური პედაგოგიური კონფერენციის ბიოლოგიის სექციის მასალები“. ავტორთა ჯგუფი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
18. „სკოლის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში“. ალ. მაჩაბელი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.

მ ი მ ი ა

არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ქიმიის პროგრამები 1942-43 წელს ძირითადად უცვლელად რჩება, მხო-

ლოდ მათი გავლისას, თემატიკურსა და გაკვეთილის გეგმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროგრამის ცალკე საკითხების გაღრმავებულად შესწავლის მიზნით ის ცვლილებები, რაც მოცემულია:

ა) სსსრ განსახკომის ბრძანებაში სოფლის სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, ღონისძიებათა და „მითითებებში ქიმიის და სხვა სასწავლო დისციპლინების თეორიული კურსის სათანადო თავების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ“. (იხ. სახელმძღვანელო მასალების კრებული. სახელგამის გამოცემა 1940 წ.).

ბ) ღონისძიებებში „პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენადმე მომზადების შესახებ ქალაქის საშუალო სკოლაში“ (იხ. სსსრ განსახკომის ბრძანებათა და დადგენილებათა კრებული 1941 წ. № 4, გვ. 7—9).

გ) ბრძანებაში—„ქიმიის სწავლება სამამულო ომის პირობებში“ (იხ. განსახკომის ბრძ. და განკ. კრებ. 1942 წ. № 9).

მასწავლებელმა ქიმიის სწავლების საქმეში მტკიცედ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგით:

1. „მზად იყავ საჰაერო ქიმიური თავდაცვისათვის“. სახელგამის გამოცემა 1941 წ.

2. „ქიმიის სწავლება და ქვეყნის ქიმიური თავდაცვა“. გეგუჩაძე დაწყ. საშ. სკ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.

3. „ქიმიის სწავლება და საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა“. ვ. გეგუჩაძე დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.

4. „როგორ გარდაეჭმნათ ქიმიის სწავლება სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით“. ნ. ჯაფარიძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.

5. „ანტირელიგიური აღზრდის ზოგიერთი მომენტი ქიმიის სწავლებაში“. დ. ჯორჯიკია. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.

6. „ქიმიურ ნაერთთა ძირითადი კლასები“. ბ. კიკვიძე. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.

7. „ქიმიის სწავლების დამხმარე მასალები“. პროფ. სმორ-განსკი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.

8. „ნივთიერებანი და მათი გარდაქმნა“. ბორისოვი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.

9. „გაზთა კანონები და მოღვეულები ფორმულები“. კავშირ-კავშირის კოვი. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.

10. „უანგვა-აღდგენის საკითხებისათვის“. ა. კალანდია. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.

11. „პალოგენები“. ა. კალანდია. დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.

12. „მოსწავლეთა ექსკურსიები ქიმიურ წარმოებებში“ შ. ცაგარეიშვილი.

დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.

13. „მეფასების ნორმები ქიმიასში“. ავტორთა ჯგუფი.

დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.

14. „ქიმიის ლაბორატორიის მოწყობა“. ნ. ჯაფარიძე.

დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.

15. „ფეთქად ნივთიერებათა შესწავლა საშუალო სკოლის კურსში“. ალ. ხუსკივაძე და გეგუჩაძე.

დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.

II. საერთო მითითებანი

1. სადირექტივო ორგანოების მითითებათა თანახმად, წელს სასწავლო წელი V—X კლასებში იწყება პირველ ოქტომბრიდან, ამის შედეგად სასწავლო მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო მცირდება. მეორე მხრით, როგორც ეს ამ მითითებების პირველ თავშია მოცემული, ცალკე სასწავლო დისციპლინების პროგრამებში ზოგიერთი ცვლილებებია შეტანილი. იმ მიზნით, რათა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი საკითხები რაიონის, და ქალაქის ყველა სკოლაში მთლიანად იქნეს შესწავლილი, და ამასთანავე, პროგრამების გავლის საქმეში ყველა სკოლაში ერთიანობა იქნეს დაცული, პედაგოგიური კაბინეტების ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სექციებმა წინასწარ უნდა განიხილონ ეს მითითებანი, მხედველობაში მიიღონ ის გარემოება, რომ V—X კლასებში სასწავლო დრო მცირდება და უზრუნველყონ:

ა) პროგრამებში შეტანილი ყველა ძირითადი ცვლილების აღრიცხვა წლიურ და თემატიკურ სამუშაო გეგმებში;



ბ) სასწავლო მასალის ისეთი სახით განაწილება, რომ ოფერენსული პროგრამებით ცალკე თემების შესწავლისათვის გათვალისწინებული დრო პროპორციულად შემცირდეს და პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი მთლიანად იქნეს ათვისებული სასწავლო წლის მანძილზე.

2. ასეთი სახით წინასწარი მომზადებული მასალები განხილული უნდა იქნეს V—X კლასების მასწავლებელთა თათბირზე 25—27 სექტემბერს. ამის საფუძველზე ყველა სკოლაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი წლიური და თემატიკური სამუშაო გეგმების ისეთი სახით შედგენა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი მთლიანად იქნეს შესწავლილი.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოზოლაძე

რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებებს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგებებს) და სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს

საქართველოს სსრ სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების უმჯობესების შეახებ 1941—42 სასწავლო წლის მმრკმ ნახმმარში.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ საქართველოს სსრ-ის მრავალმა სკოლამ სამამულო ომის პერიოდში სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში კარგი მაჩვენებლები მოიპოვა. ქ. თბილისის 1-ლ (მასწ. მ. მამფორია), მე-6 (მასწ. თ. მოსე-შვილი), 47-ე (მასწ. მ. ბალანჩივაძე), მე-18 (მასწ. ხუბუტია), 65-ე (მასწ. ე. ხუციშვილი), 42-ე (მასწ. ლ. რიბინა და კუხარსკია), 43-ე (მასწ. ზაშუკი და ვ. ხარმანდარიანი) საშუალო სკოლების, ქუთაისის მე-9 (მასწ. ბინიაშვილი), 24-ე (მასწ. ი. ტყემელაშვილი), სოხუმის მე-6 (მასწ. ცუხნიკასი), ფოთის მე-2 (მასწ. მექვაბიშვილი), ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათის (მასწ. მ. ბუგეალაძე) და მრავალი სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეებს სამოქალაქო ისტორიის კურსის სათანადო თავები შესწავლილი აქვთ სამამულო ომის მოთხოვნილებებთან შესაბამისად, მასთან ერთად, მათ კარვად იციან ისტორიის კურსის საპროგრამო მასალა: ისტორიული ფაქტები, თარიღები,




რუკა და ტერმინები; საფუძლიანად იცნობენ ისტორიული პერიოდების ცხოვრებასა და მოღვაწეობას; უფროსი კლასების მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ერკვევიან რთულ ისტორიულ მოვლენებში, მათ შესწევთ უნარი სწორად შეაფასონ დიდი პიროვნებების ისტორიული მნიშვნელობა და როლი. ეს მოღწევები სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში იმის შედეგად არის მოპოვებული, რომ დასახელებული სკოლების მასწავლებლები სისტემატურად აღრმაგებდნენ თავის ცოდნას ისტორიულ მეცნიერებათა დარგში, ყოველდღიურად ეცნობოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გამირული ბრძოლის საკითხებზე გამოქვეყნებულ მიმოხილვებს, ნარკვევებს, სტატიებს; ნაყოფიერად მუშაობდნენ ისტორიის სწავლების მეთოდის საკმის საუკეთესოდ დაუფლებისათვის, მოფიქრებულად არჩევდნენ მასალას თითოეული გაკვეთილისათვის, ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას და სასწავლო მასალას გადასცემდნენ მოსწავლეების გონებრივი განვითარების დონის შესაბამისად; დაბალ კლასებში ემოციური თხრობა ისტორიული ამბების შესახებ, ხოლო მაღალ კლასებში, — სასკოლო ხასიათის ლექცია, ისტორიული ფაქტების სათანადო გარჩევა-შეფასებით.

აი, ზოგიერთი ნიმუში ამ სკოლების მასწავლებელთა მუშაობიდან:

ა) სამოქალაქო ისტორიის კურსიდან გულდასმით არჩევდნენ ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომელთა ღრმა ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სწორად გაგება-შეფასებისათვის და ფაშისტ თავდამსხმელთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის გამირული ბრძოლის მაგალითებზე ზრდიდნენ მოსწავლეებში მაღალ პატრიოტულ გრძნობებს, ღრმა სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსადმი.

ასე მაგალითად: ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის (მასწ. ლ. რიბინა) მე-9 კლასის მოსწავლეებს საუკეთესოდ აქვთ დაუფლებული ისტორიის პროგრამით გათვალისწინებული თემა-„დასავლეთის სლავები მე-9-11 საუკუნეებში“. კარგად იციან ისტორიული მასალა და თანადროულობის მნიშვნელოვანი ფაქტები, მე-9-11 საუკუნეების პოლიტიკური რუკა, სლავთა განსახლების ტერიტორია, მათი პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე, გერმანელ ფეოდალთა შეტევისა და თავდასხმის მიზეზები, სლავების ყოფა-ცხოვრების პირობები გერმანელთა ბატონობის ქვეშ; ამასთან ერთად, მოსწავლეები საუკეთესოდ ერკვევიან იმაში, რომ მე-9-11 საუკუნეებში გერმანელ ფეოდალებს აღმოსავლეთისაკენ იზიდავდა სლავთა მიწა-წყალი, რომ დღესაც, გერმანელ ფაშისტებს უნდათ გაანადგურონ სლავი ხალხები და მათი მიწა-წყალი ჩაეგდონ ხელში.



მოსწავლეებს მოჰყავთ სათანადო ამონაწერები უფრო ადრე, თუ გერმანელი ფაშისტები მათ მიერ დროებით ოკუპირებულ ადგილებში როგორ ანადგურებენ კულტურას, ხურავენ სკოლებს, აწამებენ და კლავენ ბავშვებსა და ქალებს და სხვ. ამ ცოდნის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების მიზნით, მასწავლებელმა საუკეთესოდ გამოიყენა გამეორების გაკვეთილი: თავისუფალი სლავების მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად გერმანელ ფეოდალთა შემოტევის საკითხი გამეორებისას კვლავ დაუკავშირა იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ თავისუფლების მოყვარე ხალხები ჰიტლერელი თავდამსხმელების წინააღმდეგ, შუა-ჯამა და განაზოგადა მოსწავლეთა პასუხები, მოხერხებულად გამოიყენა ახალი მასალა, — მოსწავლეებს წაუკითხა კალინინის რაიონის პარტიზანთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი (წერილი მოთავსებული იყო გ.ზ. „ზარია ვოსტოკა“-ს წინაღობის ნომერში), რომელშიაც გერმანელ ფაშისტების მხეცური მოქმედების ახალი აღმამფოთებელი ფაქტებისა და ამ რაიონის პარტიზანთა უშიშარი და შეუპოვარი ბრძოლების შესახებ იყო მოთხრობილი.

მე-7 კლასში, იმავე მასწავლებელმა, გაკვეთილის მასალასთან მოხერხებულად დააკავშირა 1942 წლის 22 მაისის გ.ზ. „პრავდაში“ მოთავსებული წერილის „ცისფერი შარტი“-ს შინაარსის გაცნობა.

წერილში მოთხრობილმა ამბავმა, ახალგაზრდა საბჭოთა მფრინავის შესახებ, რომელიც შურს იძიებს ფაშისტი მტარვლების მიერ ვერაგულად მოკლული მფრინავი ქალისათვის, დაღუპულ ქალის ხსოვნის აღსანიშნავად თავის სატესთან ატარებს მის ცისფერ შარტს და აკეთებს მასზე კვანძებს თითოეული ფაშისტური თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, მოსწავლეებზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

მასწავლებელმა მამფორიამ (ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა) აღექსახდრე მაკედონელის ლაშქრობის გარჩევისას, მოსწავლეთა ყურადღება მიაკცია ალექსანდრე მაკედონელის ჯარების გახრწნას, ჯარის დაავადებასა და განადგურებაზე, ამის საილუსტრაციოდ მოიყვანა ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეს სიტყვები: „მხოლოდ ცოტა მაკედონელები-ღა დარჩნენ ცოცხლები, და ისინიც სრულ სასოწარკვეთილებაში იმყოფებიან“. დაუკავშირა ეს ფაქტი ჰიტლერის არმიის გახრწნისა და მასში წინააღმდეგობათა ზრდის ფაქტთან, რის საილუსტრაციოდ წაიკითხა რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის წერილი და ამგვარი მუშაობის შედეგად მოსწავლეები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჰიტლერის არმია არის მძარცველების არმია და იგი საბოლოოდ უნდა განადგურდეს.



მასწავლებელმა კუხარსკიმ (ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლა) მე-9 კლასში გაკვეთილი „გერმანია მე-20 საუკუნის დასაწყისში“, საუკეთესოდ გამოიყენა იმ მიზნით, რათა მოსწავლეებს ღრმად გაეგოთ ფაშისმის წარმოშობის მიზეზები და ისტორიული ფესვები. მასწავლებელმა დაახასიათა გაკვეთილზე მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანიის იმპერიალიზმის თავისებურებანი (შზადება მსოფლიო ომისათვის, გერმანიის შესაძლებლობანი ამ დარგში, ბრძოლა კოლონიებისა და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისათვის და სხვ.). შეეხო რა ვილჰელმ II დროინდელი გერმანიის ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრების მისწრაფებას, მიუთითა მოსწავლეებს ჰიტლერული გერმანიის მიერ ყაჩაღურ ომში თურქეთის ჩაორგვას ცდაზე და ანკარის პროცესზე. მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანიაში ფინანსური კაპიტალის ბატონობის ფაქტის ახსნისას, მასწავლებელმა დაასახელა კაპიტალისტთა ის მაგნატები, რომელნიც ფაქტიურად მართავენ დღევანდელ გერმანიას და რომელთა აგენტებს წარმოადგენენ ჰიტლერულ მესვეურთა ხროვა. ამ გაკვეთილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსწავლეთა პოლიტიკური აღზრდისათვის: გერმანიის მიერ გაჩაღებული ომისა და საერთოდ მისი პოლიტიკის კლასობრივი სარჩული, — მისი მტაცებლური ხასიათი, გერმანიის რესურსების შეზღუდულობა, მოკავშირეების, — სსრ კავშირის, ინგლისისა და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების რესურსებთან შედარებით, — როგორც გერმანიის დამარცხების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობათაგანი, დასაბუთებულად, დამაჯერებლად და ცოცხლად იქნა გადაცემული.

ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ბინიაშვილმა გაკვეთილზე — „რუსი ხალხის სამამულო ომი 1812 წ.“ გაამახვილა ყურადღება ამ ომის ხალხურ ხასიათზე, მიმზიდველად მოუთხრო მოსწავლეებს რუსი ხალხის სიმამაცისა და გმირობის ფაქტები და დაუკავშირა ეს საბჭოთა ხალხების თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდებს მიმდინარე სამამულო ომიდან. მასწავლებელმა შეადარა აგრეთვე ერთმანეთს ნაპოლეონისა და ჰიტლერული არმიების ჯარისკაცთა სულისკვეთება, გადაუშალა მოსწავლეებს ჰიტლერის ყაჩაღური არმიის გახრწნისა და სულით დაცემის სურათი და დამთავრა გაკვეთილი დიდი ბელადის ანხანაჟ სტალინის შემდეგი სიტყვებით: — „ისტორია, გვიჩვენებს, რომ უძლეველი არმიები არ არიან და არც ყოფილან, ჰიტლერის ფაშისტური არმია შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდებოდა კიდევაც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“.

მოსწავლებელმა მექვაბიშვილმა (ფოთის მე-2 საშუალო სკოლა) მე-4 კლასში გაკვეთილი „1918 წელში გერმანელთა მიერ უკრაინის ოკუპაციის შესახებ“ საუკეთესოდ გამოიყენა ჰიტლერელთა ბნელი ზრახვებისა და მათი უკრაინაში ვერაგული მოქმედების ნათელსაყოფად.

სხვე კარგად აკავშირებენ წარსულის ფაქტებს დიდ სამამულო ომთან ქ. თბილისის მე-6 (მასწ. თ. მოსეშვილი), 47-ე (მასწ. მ. ბალანჩივაძე), მე-18 (მასწ. ხუბუტია), 43-ე (მასწ. მ. ზაშჩუკი), ქუთაისის 24-ე (მასწ. ივ. ტყეშელაშვილი), სოხუმის მე-6 (მასწ. ცუხნიკასი), ჩიბათის (მასწ. მ. ბუგაძე) და სხვა საშუალო სკოლებში.

ბ) ამავე სკოლებში აჩვენენ მოსწავლეებს თანამიმდევრულ მსჯელობას ისტორიული მოვლენების შესახებ და აძლევენ მათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გარჩევისა და შეფასების დამოუკიდებელ ჩვენებს. ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლაში (მასწ. ე. ხუციშვილი), არა მარტო მე-8—10 კლასებისა, არამედ მე-6 მე-7 კლასების მოსწავლეებსაც კი გამომუშავებული აქვთ ისტორიული მოვლენების სწორად გარჩევისა და შეფასების უნარი. მოსწავლეებმა იციან, რომ რომელიმე სახელმწიფოს დახასიათებისათვის საჭიროა მისი პოლიტიკური წყობილების, მეურნეობის, კულტურის განხილვა, რომ მეურნეობის განხილვა თავის მხრით მოითხოვს ტექნიკის, მიწადმოქმედების, ხელოსნობის, ვაჭრობის ცოდნას და სხვ. იგივე ითქმის ქ. თბილისის მე-6, 42-ე, 43-ე სკოლების შესახებაც, ამ სკოლების მოსწავლეები თანამიმდევრულად მსჯელობენ შესწავლილ თემების გარშემო და შესწევთ ისტორიული მოვლენების სწორად შეფასების უნარი.

გ) მოფიქრებულად ატარებენ წლიური კურსის გამეორებას: არჩევენ გამეორებისათვის კურსის მთავარ, საკვანძო თემებს (თბილისის 27-ე და 43-ე საშუალო სკოლები), მოხერხებულად აწოდებენ ბავშვებს ახალ ცნობებს, იყენებენ ახალ დიდაქტიკურ მასალას (თბილისის 42-ე საშუალო სკოლა) და მით აღრმავებენ მოსწავლეთა ცოდნას და მოჰყავთ იგი სისტემაში (თბილისის მე-6 და 43-ე, 65-ე და სხვ. საშუალო სკოლები).

დ) გაკვეთილებზე მიზანშეწონილად იყენებენ საკლასო დაფას (თარიღების, სახელწოდებების ჩაწერა, სქემატური ნახაზების შედგენა და სხვ.), ისტორიულ რუკას, ისტორიულ სურათებს, პორტრეტებს და სხვ. თვალსაჩინო მასალას; აგრეთვე ამუშავებენ მოსწავლეებს თვითნაკეთ თვალსაჩინო ხელსაწყოებზე; მაგალითად, თბილისის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეადგინეს მხატვრულად გაფორმებული ალბომები, შემდეგი თემების მიხედვით. „1812 წლის

სამამულო ომი“, „გლებთა ომი გერმანიაში“, „საბჭოთა კავშირის ხალხები“, თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში, — ანტიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ჩანახატების მთელი სერია; თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში, — იულიოს კეისრისა და საშუალო საუკუნეების რაინდთა მაკეტები; ხოლო თბილისის 56-ე, მე-11 საშუალო სკოლებში — ალბომები მიძღვნილი სამამულო ომისადმი, ფოტომონტაჟები ამავე თემაზე და სხვ.

ე) ფართოდ არის გაშლილი ისტორიის წრეების მუშაობა და წრეების თემატიკა სავსებით შეესაბამება მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის ამოცანებს. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ისტორიულ წრეში შემდეგი რეფერატები იქნა წაკითხული:

1. „ნაპოლეონი და მისი ლაშქრობები“
2. „პარტიზანები და მათი ხელმძღვანელობა 1812 წელში“,
3. „1812 წლის სამამულო ომის გმირები“,
4. „1812 წელი მემუარების მიხედვით“,
5. „ქალის ბრძოლა და მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში“.

თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ისტორიის წრეში დამუშავდა თემები:

1. „1812 წლის სამამულო ომი“,
2. „ჩაპაევის ცხოვრება და მოღვაწეობა“
3. „გენერალ-ლეიტენანტ ლვოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და სხვ.

ასევე, ქ. თბილისის მე-6 საშუალო სკოლის ისტორიის წრეში დიდი რუსი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ რამდენიმე რეფერატი წაკითხული იქნა, ამასთან ერთად, წაკითხული იქნა რეფერატები საქართველოს გმირული წარსულიდან. „მარაბდის ომი“, „კრწანისის ომი“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვ. ფოთის 1-ლ, მე-3 და მე-4 საშუალო სკოლებში სისტემატურად ტარდებოდა მოხსენებები და საუბრები აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე: „დიდი სამამულო ომი“, „გამოჩენილი რუსი სარდალი სუვოროვი“, „პარტიზანების ბრძოლა მტრის ზურგში“ და სხვ. ლაგოდეხის ი. ქაუქვაძის სახელობის საშუალო სკოლაში ეწყობოდა სამამულო ომისადმი მიძღვნილი საღამოები სათანადო მოხსენებებითა და მხატვრული ნაწილით; მარტყოფის საშუალო სკოლაში სისტემატურად ტარდებოდა საუბრები სამამულო ომის გმირებისა და წითელი არმიის სარდლების შესახებ.

ამ მიღწევებთან ერთად, სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში, ზოგიერთ სკოლაში, მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს აღვლილი, მათგან მთავარია შემდეგი:



ა) მოსწავლეებმა სუსტად იციან ისტორიული ფაქტები და არ შესწევთ ისტორიული მოვლენების გარჩევისა და შეფასების უნარი. მაგალითად, სტალინირის ქართულ საშუალო სკოლის მე-8 კლასში (1941 წლის დეკემბრამდე ამ კლასში ისტორიას ასწავლიდა მასწავლებელი ვაგასოვა, შემდეგ კი—მასწ. ჩლაიძე) მოსწავლეებმა არ იცოდნენ როდის დაიწყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რა მიზეზებმა გამოიწვიეს იგი, არ ჰქონდათ წარმოდგენა 1812 წელში რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობის დამარცხების მიზეზებზე. ამავე სკოლის მე-6 კლასში (მასწ. ვაგასოვა) მხოლოდ ერთმა-ორმა მოსწავლემ იცოდა, რომ ჰანბალი კართაგენელი იყო და რომსა და კართაგენს შორის ომი სწარმოებდა, მაგრამ ამ ომის მიზეზების შესახებ მათაც არაფერი იცოდნენ. ამავე კლასში, მოსწავლეები ვერ ერკვეოდნენ იულიოს კეისრისა და მონათმფლობელური რომის სხვა წარმომადგენლების მოღვაწეობაში. ვინათის საშუალო სკოლის (სტალინირის რ.) ქართული სექტორის მე-8 კლასში არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა წარმოდგენა—„საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, უტოპისტ სოციალისტებისა და გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შესახებ; არ იცოდნენ მათ მტკიცედ, აგრეთვე ნაპოლეონის არმიის რუსეთში ლაშქრობის თარიღაც კი. ცხაკაიას რაიონის ზანის საშუალო სკოლის მე-9 კლასში (მასწ. სოსელია) მოსწავლეები ვერ პასუხობდნენ კურსის ძირითად საკითხებზე, არ იცოდნენ პეტრე I ომებისა და პუგაჩოვის აჯანყების შესახებ. ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები (მასწ. გ. ქავთარაძე) არ იცნობდნენ საბერძნეთის ისტორიის ბთავარ მომენტებს:—ბერძენთა კოლონიზაციას, პერიკლეს მოღვაწეობას და ათენის სახელმწიფოებრივ წყობილებას ქ. თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მე-9 კლასის (მასწ. შ. ბერიძე) არც ერთ მოსწავლეს წარმოდგენა არ ჰქონდა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის, ევროპის ქუყნების ორ ბანაკად გაყოფისა და ბერლინის კონგრესის შესახებ. თბილისის მე-10 სკოლის მე-6 კლასში (მასწავლებელი აბაშიძე) მოსწავლეები ვერ იძლეოდნენ პასუხებს ასეთ კითხვებზე: „რა არის ფეოდი, ბენეფიციუმი, ფეოდალიზმი, როგორი ურთიერთობა იყო სენიორსა და ვასალს შორის“. თბილისის მე-20 სკოლის მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეებმა (მასწ. სამხარაძე) ვერ განსაზღვრეს ნაპოლეონის რუსეთში შემოჭრისა და მისი დამარცხების მიზეზები, არ იცოდნენ პუგაჩოვის მიერ წარმოებული ბრძოლის შინაარსისა და თავისებურების შესახებ, სქემატურად, მოუთხრობდნენ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენების შესახებ; მაგალითად, კითხვას: „რა პირობებში იქნა დადებული საქართველოს მიერ რუს-

სეთთან ხელშეკრულება“. ამ კლასის ერთ-ერთმა მოსწავლემ შემდეგი უპასუხა: — „ერეკლეს სურდა რუსეთთან შეერთება, მას ებრძოდნენ ერისთავები, მაგრამ ერეკლემ ყველანი დაამარცხა და დადგა ხელშეკრულება რუსეთთან“ ასეთი პასუხი მასწავლებელმა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ბ) ზოგან სათანადო ისტორიული მოვლენების შესწავლას ვერ უკავშირებენ სამამულო ომის ამოცანებს, ხოლო ზოგჯერ სწორად არ არის გაგებული სამამულო ომთან ისტორიული მასალის დაკავშირების საქმე და ადგილი აქვს დამახინჯებებს: ზემო აკეთის (ლანჩხუთის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა აღ. ხუბუნაშვილმა 1918 წელში გერმანელების მიერ უკრაინის ოკუპაციის ფაქტი ვერ დაუკავშირა თანამედროვე მდგომარეობას; არგვეთის საშუალო სკოლის (საჩხერის რაიონი) მასწ. მ. ზეინკლიშვილმა გაკვეთილი „ინტერვენცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“ ისე ახსნა, რომ ერთი სიტყვა არ უთქვამს საბჭოთა ხალხის სამამულო ომის შესახებ; ქალაქ ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელმა ედივაროვამ 1812 წლის სამამულო ომის დაკავშირებაც კი ვერ მოახერხა ჩვენს დიდ სამამულო ომთან; მასწ. ბახტაძემ (თბილისის მე-16 საშ. სკ.) მე-7 კლასში, გაკვეთილზე, — „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ევროპაში მე-16—17 საუკ.“.

კარგად მოუთხორო მოსწავლეებს გალილეის, ბრუნოს და სხვა დიდ მეცნიერთა შესახებ, მკაფიოდ გაუსვა ხაზი ინკვიზიციისა და ეკლესიის მიერ თავისუფალი აზროვნების დენის ფაქტს, ხოლო ვერ დაუკავშირა ეს, ანალოგიურ მდგომარეობას ფაშისტურ ქვეყნებში და ვერ მოიყვანა ფაშისტურ გერმანიაში სწავლულების დენისა და უწყალო წამების შესახებ მაგალითები.

არის შემთხვევები, რომ დაკავშირება ხელოვნურია, ემყარება მხოლოდ გარეგან ანალოგიებს და ამიტომ მშრალი აგიტაციის სახეს ღებულობს: მასწავლებელმა ჩხარტიშვილმა (თბილისის 34-ე საშუალო სკოლა) მე-8 კლასში, გაკვეთილზე „გერმანიის ხელახლად გაერთიანება“, — ნაცვლად იმისა, რომ ღრმად გაეშუქებინა ბისმარკის „რკინისა და სისხლის პოლიტიკა“ და დაემყარებინა კავშირი თანამედროვეობასთან, მან ახალი მასალა უფერულად გადასცა მოსწავლეებს და ამის შემდეგ გაკვეთილის შინაარსიდან სრულიად მოწყვეტილად დასვა შემდეგი კითხვები: „1. როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა დღეს სს/კ-სა და გერმანიას შორის, 2. როგორ ომს ატარებს ჩვენი სახელმწიფო, 3. რას ფიქრობდნენ გერმანელი დამპყრობელები“ და სხვ. ლენტეხის საშუალო სკოლის (ქვემო სვანეთის რაიონი) მასწავლებელმა თ. ონიანმა კავშირი გააბა ერთი მეორისაგან ნაკლებად მსკაცეს ის-



ტორიულ მოვლენათა შორის — ნიკოლოზ 1-სა და ფაშისტური რეჟიმის ნიის რეჟიმს შორის. მასწ. ქორიძემ (თბილისის მე-16 საშუალო სკოლა) მე-6 კლასში, გაკვეთილზე — „ბიზანტია მე 6 — 9 საუკუნეებში, არაბი დამპყრობლების საქმიანობა ზერელედ დაუკავშირა გერმანულ ფაშიზმს. მართალია, არაბ დამპყრობთა ისტორიიდან შესაძლებელი იყო მასწავლებელს ზოგი რამ შეეღებოდა ფაშისტთა ყაჩაღურ პოლიტიკასთან: არაბთა მიდრეკილება მსოფლიო ბატონობისადმი, ამ მიდრეკილების უნიადაგობა და არაბთა ბატონობის სიმძიმე მათ მიერ დაკავებულ ადგილებში, — მაგრამ ეს მასწავლებელმა ვერ გამოიყენა.

გ) ზოგიერთი მასწავლებელი ფაქტიურ მასალას ისტორიის კურსიდან მოსწავლეებს უფერულად და მკრთალად გადასცემს, სტოვებს განხილვის გარეშე მნიშვნელოვან საკითხებს და ზოგჯერ უშვებს უხეშ მსჯელობებს. მაგალითად, მასწავლებელი ლალიაშვილი მე-7 კლასში (თბილისის 24-ე საშუალო სკოლა) ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის: „რეფორმაცია გერმანიაში“ მხოლოდ სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს ამ საკითხზე სახელმძღვანელოში მოთავსებული პარაგრაფის შინაარსს, ხოლო იმავე სკოლის მასწავლებელმა კარტოზიამ მე-8 კლასში, გაკვეთილზე — „სამრეწველო რევოლუცია ინგლისში“, სრულიად გამოტოვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, — აგრარულ გადატრიალების მნიშვნელობა, მანქანური წარმოების შედეგები და სხვ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. ჯინჭარაძე ვერ ერკვევა ისტორიის ელემენტალურ საკითხებშიც კი და უხეშად ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს: ნიკოლოზ პირველის საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრისას მან აღნიშნა, რომ „ნიკოლოზ I გააგზავნა ჯარები პროლეტარული რევოლუციის ჩასახშობად“ (საკითხი ეხება უნგრეთის 1848 წლის რევოლუციას). მასწავლებელმა ჯინჭარაძემ არ იცის, რომ 1848 წლის რევოლუცია უნგრეთში იყო ბურჟუაზიული.

დ) ზოგან არ არის წინასწარ მოფიქრებული გაკვეთილის მეთოდური მსვლელობაც, გაკვეთილის ცალკე სტრუქტურული ნაწილები მოწყვეტილია ერთმანეთისაგან, ახალ მასალას გადასცემენ ძველ, გავლილ მასალასთან დაუკავშირებლად, ხშირად გაკვეთილზე ახლად გადაცემულ მასალას დასკვნებს არ უკეთებენ, უყურადღებოდ ტოვებენ მთავარ საკითხებს, ხოლო მეორე ხარისხიდან დეტალებზე კი ხანგრძლივად აჩერებენ მოსწავლეთა ყურადღებას, უსისტემოდ სვამენ კითხვებს და სხვ.

მაგალითად, ბოდბისხევის საშუალო სკოლის (სიღნაღის რ.) მასწ. ტაბუტაშვილმა, გაკვეთილზე — „გლეხთა ომი პუგაჩოვის ხელ-

მძღვანელობით“, არ განუშარტა მოსწავლეებს პუგაჩოვის დამარცხების მიზეზები და მხოლოდ წერილმანების შესახებ მოუთხრობდა (რომელ წელში დაიბადა პუგაჩოვი და რომელი სახელმწიფოები ჰქონდა შემოვლილი მას, სად შეხვდა იგი სუსტ ციხე-სიმაგრეებს, სად ძლიერსა და სხვა ამგვარი), თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელი სამხარაძე ნაპოლეონის ლაშქრობების შესახებ მასალის გამეორებისას (წლის ბოლოს) სტოვეებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს (ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის მიზეზები, ინგლისთან კიდილი და სხვ.) და მოითხოვს მოსწავლეებიდან ანეგდოტური ხასიათის ფაქტის (თუ როგორ მოატყუა ნაპოლეონმა ადმირალი ნელსონი) დეტალებში აღდგენას. თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ჩაჩუა, თემიდან „მეცნიერული სოციალიზმი და კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის მოღვაწეობა“, პირდაპირ, მასალის შეუჯამებლივ, გადადის ახალ თემაზე, — „უებერვლის რევოლუცია საფრანგეთში“, ახალი მასალის გადაცემის შემდეგ დასკვნით საუბარს აწარმოებს მხოლოდ ფაქტიური მასალის აღდგენისათვის და არა მისი გაღრმავებისა და განზოგადებისათვის.

ე) დაზალ ღონეზე დვას გამეორების გაკვეთილები. ისტორიის მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ არჩევს გამეორებისათვის საკვანძო თემებს, იწყებს გამეორებას სახელმძღვანელოს პირველ ფურცლიდან, ჩერდება სახელმძღვანელო წიგნის ყოველ პარაგრაფზე, ძაძაღა მეორდება იმავე სახით და მოცულობით, როგორც პირველად იყო მიწოდებული. არ არის მოფიქრებული გამეორების გაკვეთილების მეთოდური მხარეც, ჩვეულებრივად გამეორება ტარდება უხალისოდ — ორი, საუი მოსწავლე, რიგ-რიგობით მოუთხრობს კლასს სახელმძღვანელოში წაკითხულ მასილის შესახებ. ამიტომ, გამეორება სათანადო ინტერესს აღარ იწვივს მოსწავლეებში. მაგალითად, მასწავლებელი ქორიძე (თბილისის მე-16 საშუალო სკოლა) მე-6 კლასში ერთ გაკვეთილზე ათავსებს რამოდენიმე, ერთი მეორესაგან სრულიად განცალკავებულ თემების გამეორებას. „იმპერია და პაპობა“, „ბიზანტია მე-6—9 საუკუნეებში“, „კარლოს დიდის იმპერია“, პასუხებს არ აჯამებს, არ ანზოგადობს. და სტოვეებს ისე, როგორც უამბო მოსწავლემ. მასწავლებელი აბაშიძე (თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), „კარლოს დიდი იმპერიის“ გამეორების შემდეგ, იმავე გაკვეთილზე, უკანვე უბრუნდება რომის იმპერიის დაცემის, სპარტაკის აჯანყების და სიერთოდ წლის პირველ ნახევარში შესწავლილი მასალის გამეორებას.

ამ ნაკლოვანებებთან ერთად, აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთ სკოლაში არ არის განხორციელებული განსახკომის



მითითებული ისტორიის პროგრამების შესახებ: მახარაძის რაიონის სკოლების დიდ ნაწილში და ქ. თბილისის მე-10, მე-16, მე-20, სამუშალო სკოლებში არ აღმოჩნდა და „მითითებული 1941—42 სასწავლო წელში სამოქალაქო ისტორიის კურსის გავლის შესახებ“, არის საპროგრამო მასალის თვითნებურად შეკვეცის ან სრულიად გამოტოვების და მასალის არასწორად დაგეგმვის შემთხვევები: ქუთაისის მე-13 სამუშალო სკოლის მასწ. თ. სვანიძემ, მე-10 კლასში სრულიად არ შეასწავლა მოსწავლეებს თემები, — „სსრკ-ის ბრძოლა ზევისათვის მეორე იმპერიალისტურ ომის პირობებში“ და „პირველი ხუთწლედის“, მახარაძის მე-2 სამუშალო სკოლაში მე 8 კლასში, 1848 წლის რევოლუციებს საფრანგეთში და გერმანიაში დაეთმო თითო საათი (ნაცვლად 5-სა) შემოკმედის სამუშალო სკოლის მე 5 კლასში (მახარაძის რაიონი), მასწავლებელი „ოდისეის“ გავლას ანდომებს საქ საათს, „ათენის სახელმწიფოს ჩამოყალიბების და დემოკრატიზმის განვითარებას“ კი — მხოლოდ 2 საათს, ზოგიშის არასრულ სამუშალო სკოლაში (ცაგერის რაიონი) მასწ. ლ. ჩიკვაძემ სსრკ-ის ისტორია მთლიანად დაამთავრა მესამე მეთხედში და მთელი უკანასკნელი მეოთხედი მოანდომა გამეორებას; ასევე მოიქცა ალბანის დაწყებითი სკოლის მე-4 კლ. მასწავლებელი ფრუიძე (ცაგერის რ.) ამასთანავე, რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში საპროგრამო მასალა მთლიანად არ არის შესწავლილი; ადგილი აქვს პროგრამული მასალების დაუშვებელ გადაჯგუფებას; არ არის გაშლილი საწრეო მუშაობა, არ ეწევა ხელმძღვანელობა კლა გარეშე კითხვის საქმეს ისტორიაში და სხვ.

ასეთი არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმეში ზემოთდასახელებულ სკოლებში, იმის შედეგია, რომ ამ სკოლების სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლები არ მუშაობენ თავის თავზე, არ სწავლობენ სამოქალაქო ისტორიაში არსებულ და ამ უკანასკნელ ზანებში გამოცემულ გამოკვლევებს, სახელმძოვანელო წიგნებს; არადამაკმაყოფილებლად ეცნობიან ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ამსახველ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს; სწორად არ გეგმავენ ისტორიის პროგრამებით გათვალისწინებულ მასალებს და ახლენენ მათში თვითნებურ გადაჯგუფებებს; სუსტად ემზადებიან გაკვეთილისათვის და არ იყენებენ თვალსაჩინოებას (რუკას, სქემებს, სურათებს, ტაბულებს, სამუზეიმო ექსპონატებს და სხვ.). ხოლო სკოლის დირექტორები და განათლების განყოფილებანი ისტორიის მასწავლებელთა მუშაობას სათანადო კონტროლს და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ განსახკომი ავალებს:

I დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებზე
სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს:



1) სასწავლო წლის დასაწყისიდანვე სწორად აგეგმონ ისტორიის საპროგრამო კურსი „სამოქალაქო ისტორიის კურსის გავლის შესახებ“ საქართველოს სსრ განსახკომის 1942 წ. მარტის მითითებათა საფუძველზე (იხილე განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1942 წ. № 2—3) და არ დაუშვან პროგრამით გათვალისწინებული თემების გამოტოვება, გადაჯგუფება ან შეცვლა.

2) მთავარ ამოცანად დაისახონ ისტორიის კურსის შესაბამისი თემების ჩვენი სამშობლოს დიდ სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირება, რისთვისაც:

ა) სისტემატურად გაიცნონ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნებული გამოკვლევები, სტატიები, მხატვრული ლიტერატურა და ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრონტსა და ზურგში ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ამსახველი მაგალითები;

ბ) შეისწავლონ სათანადო ლიტერატურა და გააღრმავონ თავიანთი ცოდნა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ხალხების და კერძოდ საქართველოს ბრძოლის შესახებ ისტორიულ წარსულში;

გ) წინასწარ მოფიქრებულად მოახდინონ ისტორიის კურსიდან ისეთი საკითხების შერჩევა, რომელთა დაკავშირება ბუნებრივად, ორგანიულად არის შესაძლებელი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლასთან და საპროგრამო მასალის თანადროულობის საკითხებთან დაკავშირება წინასწარ გაითვალისწინონ თემატიკური გეგმებით.

3. ისტორიის პროგრამებით გათვალისწინებული თითოეული საკითხი ღრმად გააშუქონ და ამის საფუძველზე მოსწავლეები შეაჩვიონ ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, თანამიმდევრულ მსჯელობას და მათ შესახებ სწორი დასკვნების გამოტანას.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაკვეთილების მეტოდურად სწორად აგების საქმეს, საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის: შეისწავლონ მოცემული გაკვეთილისათვის საჭირო ლიტერატურა, შეარჩიონ და მოიმაოაონ თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები; წინასწარ მრიფიქრონ გაკვეთილის მეთოდური მსვლელობა, — მკვეთრად გამოყონ გაკვეთილის მთავარი იდეა, არ დაუშვან ახალი მასალის გადაცემა გავლილთან დაკავშირების გარეშე, მოსწავლეთა ყურადღება მიაქციონ შესწავლილი მასალის მთავარ მომენტებზე და მათ სწორ შეფასებაზე.

5. მასალის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, — ისტორიული რუკები, ხელმისაწვდომი ილუსტრაციები, დიაპოზიტები, სამუზეუმო ექსპონატები, ნივთიერი კულტურის ადგილობრივი ძეგლები, კინო და ამუშაონ მოსწავლეები თვინავეთი თვალსაჩინო მასალების შედგენაზე, (ჩანახატების წარმოება, სურათების შერჩევა, ფოტომონტაჟი, დიაგრამების, სქემების, რუკების და ალბომების შედგენა და სხვა).

6. შეაჩვიონ მოსწავლეები სახელმძღვანელო წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას; ტექსტის გააზრებულად კითხვა, დასკვნების, ისტორიული და გეოგრაფიული სახელწოდებების, თარიღებისა და ციფრობრივი მასალის ამოწერა-დაჯგუფება, წიგნში წარმოდგენილი ილუსტრაციებსა და რუკებში გარკვევა, ცალკე საკითხის გარშემო წიგნში მასალის მოძებნა-ამოკრეფა და სხვ.

7. სათავეში ჩაუდგენენ კლასგარეშე კითხვას; იზრუნონ სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებაზე ისტორიაში ახლადგამოსული საკითხავი ლიტერატურით („სამხედრო გამომცემლობისა“, „გაზ. ზარია ვოსტოკას“ „კომუნისტი“ და „სახელგამის“ „საბლიტგამის“ მიერ გამოცემული კრებულები სამაშულო ომის გმირების შესახებ, აკად. ტარლუ — „ნაპოლეონი“, ანტონოვსკაია — „დიდი მოურავი“, ბარნოვი — „დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე“, ს. ქვარიანი — „გიორგი სააკაძე“, გ. ქიქოძე — „ერეკლე მეორე“, იან „ჩინგიზ-ყაენი“, „ბათო“, კ. ოსიპოვი — „სუვოროვი“, ბ. პატარაია — „ერეკლე მეორე“, ნ. აგიაშვილი — „ალექსანდრე ნეველი“, ს. ბორისოვი — „ბიგრატიონი“ და სხვ.) უხელმძღვანელონ საკითხავი წიგნების განაწილებას მოსწავლეთა შორის და აწარმოონ მოსწავლეებთან წაკითხული წიგნების გარშემო საუბარი.

8 არსებითად გარდაქმანან მუშაობა გამეორების დარგში. გამეორებისას ძირითად მიზნად დასახონ მიღებული ცოდნის განმტკიცება, გაღრმავება, განზოგადება და სისტემაში მოყვანა. გასამეორებლად წინასწარ შეარჩიონ ისეთი თემები:

ა) რომელთა ხელახლად გაშუქება აუცილებელია შესწავლილი ისტორიული პერიოდის შესახებ მთლიანი შთაბეჭდილების გამომუშავებისათვის, მაგალითად, მე-7 კლასებში: ცენტრალისტური სახელმწიფოების წარმოშობა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, კლასობრივი ჯრთიერთობის გამწვავება ფეოდალურ საზოგადოებაში და პირველი ბურჟუაზიული რევოლუციები;

ბ) რომელიც თავისი სირთულის გამო ძნელად ასათვისებელია და საჭიროებს დამატებით განხილვას, მაგ. მე-5 კლასებში შონობა ძველ საბერძნეთში, ათენის დემოკრატიის ხასიათი და სხვ. მე-6 კლასში — მონათმფლობელური საზოგადოების შეცვლა ფეოდა-



ლიზმით, ფეოდალიზმის პროგრესული მნიშვნელობა, მონათმფლობელობასთან შედარებით და სხვ.

განმეორება გახადონ მიმზიდველი და საინტერესო: წაუკითხონ მოსწავლეებს სათანადო ადგილები ქრესტომათიებიდან და მხატვრულ ლიტერატურიდან, ხოლო უფროს კლასებში ამასთანავე სათანადო ადგილები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწერებიდან, გამოიყენონ ახალი დიდაქტიკური მასალები. განმეორების გაკვეთილებზე მუშაობაში ჩააბან მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა.

9. სკოლაში ჩამოაყალიბონ ისტორიის წრეები ცალცალკე მე-5-7 და 8-10 კლასების მოსწავლეთათვის; ისტორიის წრეების მუშაობაში მთავარი ადგილი დაუთმონ პატრიოტული აღზრდისათვის შესატყვის თემატიკას: — ისრ კავშირის ხალხების და კერძოდ, ქართველების ისტორიულ წარსულში, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას, საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი შვილების ბრძოლას სისხლიან ფაშიზმის წინააღმდეგ და სხვ.

10. სამოქალაქო ისტორიის საგნობრივი კომისიების ხელმძღვანელმა მასწავლებლებმა მკიდრო კავშირი დაამყარონ ქალაქის, რაიონის, პედაგოგიურ კაბინეტებთან და მათან შეთანხმებით შეადგინონ სამუშაო გეგმა; საგნობრივი კომისიის სხდომებზე ძირითადად განიხილონ:

- ა) ისტორიის კურსის კონკრეტული თემების ცალკეული ნიმუშები, სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით;
- ბ) გასამეორებლად შერჩეული თემები და გამეორების მეთოდის ძირითადი საკითხები;
- გ) სხვადასხვა კლასებში თვალსაჩინოების გამოყენების ნიმუშები;
- დ) სახელმძღვანელო წიგნზე მუშაობის საკითხები;
- ე) ისტორიის პროგრამის ცალკე თემების, მიხედვით, შერჩეული მხატვრული და სხვა დამატებითი სახის ლიტერატურა;
- ვ) ისტორიის წრეების თემატიკა, კლასგარეშე კითხვის გაუმჯობესების ღონისძიებანი და სხვ.

II. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს) და სახწავლო ნაწილის გამგეებს:

1. გულდასმით განიხილონ სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა წლიური, მეოთხედური და გაკვეთილის სამუშაო გეგმები, ხშირად დაესწრონ სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს გაკვეთილებზე და არ დაუშვან პროგრამით გათვალისწინებული თემების შეცვლა, შეკვეცა ან გამოტოვება; დააწესონ ზედამხედვე-

ლობა და უზრუნველჰყონ ისტორიის პროგრამის სათანადო თემების თანადროულობასთან დაკავშირება. მომავალში აღკვეთონ დროულობის მოვლენებთან ისტორიის კურსის პროგრამებით გავალისწინებული საკითხების ხელაღებით, არაბუნებრივად დაკავშირების შემთხვევები.

2. შეიძინონ ისტორიის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური მასალები და ხელსაწყოები—ისტორიული რუკები, სურათები, ალბომები, დიპლომატიკები, საპროექციო ფანარი და სხვ. შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ისტორიაში კლასგარეშე საკითხავი წიგნებით და შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ თვალსაჩინოება ფართოდ იქნეს დანერგილი სწავლებაში.

3. საჭირო პირობები შეუქმნან სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ამ მიზნით, შეავსონ სკოლის ბიბლიოთეკა ისტორიისა და მისი სწავლების დარგში ახლად გამოსული ლიტერატურით. კონკრეტულად უჩელმძღვანელონ სამოქალაქო ისტორიის საგნობრივი კომისიების მუშაობას. ამასთან ერთად სკოლაში სამოქალაქო ისტორიის სწავლების საკითხები ხშირად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და დროულად მიიღონ შესაფერი ზომები შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

III. განათლების განყოფილებებსა და პედაგოგიურ კაბინეტებს:

1. სისტემატურად აწარმოონ სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა მუშაობის შემოწმება, ადგილზე მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად და მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება ფართოდ განაზოგადონ რაიონის სკოლების ისტორიის მასწავლებელთა შორის.

2. შეავსონ პედაგოგიური კაბინეტების ბიბლიოთეკები ისტორიის დარგში ამ უკანასკნელ ხანებში გამოსული გამოკვლევებით, სახელმძღვანელოებით, ისტორიის სწავლების მეთოდის გარშემო არსებული ლიტერატურით, თვალსაჩინო ხელსაწყოებით და მასალებით; ორგანიზებული ხასიათი მისცენ ისტორიის მასწავლებელთა რაიონული მეთოდთათბირების მუშაობას, თათბირებზე მოისმინონ მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებანი, განსაკუთრებით, ისტორიის კურსის პროგრამების სათანადო თემების თანადროულობასთან დაკავშირების საკითხთა გარშემო.

3. ქ. თბილისისა და მისი რაიონების, ქ. ქუთაისის ქ. სტალინისა და საჩხერის, სიღნაღის, მახარაძის, ცაგერის, ლანჩ-



ხუთის, ცხაკაიას, ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა: ა) განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესონ ამ საღირეპტივო წერილში დასახლებულ სამოქალაქო ისტორიის იმ მასწავლებელთა მუშაობაზე, რომლებიც არ იმაღლებენ იდეური და მეცნიერული მომზადების დონესა და პედაგოგიურ კვალიფიკაციას, სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს ვერ აძლევენ სათანადო ცოდნას ისტორიაში. გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ბ) ხოლო იმ პირების მასწავლებლობიდან მოხსნის საკითხი, — რომლებიც არადაამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ წინა წლებშიაც და ვერ იძლევიან იმედს, რომ მომავალში შესძლებენ ჩამორჩენის გამოწვორებას და სამოქალაქო ისტორიის სათანადოდ სწავლებას, — დააყენონ საქართველოს სსრ განსახკომის წინაშე.

IV. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს და საშუალო სკოლის საკვლეო სამეცნიერო ინსტიტუტს:

1. 1942—43 სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეადგინონ საინსტრუქციო მეთოდური წერილები სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთათვის შემდეგ საკითხებზე:

- ა) როგორ ვაწარმოოთ განმეორება ისტორის გაკვეთილებზე;
- ბ) მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობა სახელმძღვანილო წიგნზე;
- გ) საწრეო მუშაობა სამოქალაქო ისტორიაში;
- დ) მეთოდური ლიტერატურის სარეკომენდაციო სია სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთათვის.

2. სისტემატურად გამოიკვლიონ ცალკე სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების მდგომარეობა. ადგილებზე გაუწიონ დახმარებუ სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს და მათ შორის საუკეთესო მუშაკების გამოცდილება ფართოდ განაზოგადონ.

3. მიმდინარე წლის 30 ნოემბრისათვის მოამზადონ გამოსაცემად მეთოდური კრებული: „სამოქალაქო ისტორიის კურსის სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირების საუკეთესო ნიმუშები“.

* *

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ავალეებს განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლების დირექტორებს (გამგეებს) გულდასმით განიხილონ ეს საღირეპტივო წერი-

ლი სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა მეთოდურ თვითრეგულაციურ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და ისტორიის საგნობრივ კომისიებში და უწრუნველჰყონ აქ მოცემული მითითებების განხორციელება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1942 წლის 20 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

განათლების განყოფილებათა გამგეობს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებსა (გამგეობს) და მასწავლებლებს.

1942-43 სასწავლო წელში მოსწავლეთა მიერ რვეულბის მოჭირნობით ხარჯვისა და ფანჯრებისა და კალმების დაზოგვით გამოყენების შესახებ

1942-43 სასწავლო წლისათვის საწერი ქალაქის შემოზიდვასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, სკოლები და მოსწავლეები არ იქნებიან საწერი რვეულების ისეთი რაოდენობით მომარაგებულნი, როგორც ეს არის გათვალისწინებული დადგენილი ნორმების მიხედვით. ამასთან ერთად, შემოზიდვის შეფერხებასთან დაკავშირებით, საწერი ფანქრები და კალმები სკოლებს განსახლვრული რაოდენობით მიეცემათ.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ განსახკომი გავალებთ მტკიცედ იხელმძღვანელოთ შემდეგი მითითებებით:

1. რვეულების მოჭირნობით გამოყენების მიზნით:

ა) ქართულსა და რუსულ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში თითო ჯერზე მოსწავლეებს დაურიგეთ რვეულები იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია საკლასო სამუშაოების ჩასატარებლად ქართულ, რუსულ და უცხო ენებში, სუფთა წერასა და მათემატიკაში, სახელდობრ: 1—4 კლასის თითოეულ მოსწავლეს უნდა ექნეს 3 რვეული, ხოლო 5—10 კლასის თითოეულ მოსწავლეს 4 რვეული. რაც შეეხება აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ სკოლებს, ამ სკოლებში მე-2 კლასიდან დაწყებული, თითო ჯერზე დასარიგებელი რვეულების რაოდენობა თითო რვეულით უნდა გადიდდეს, რადგან მეორე კლასიდან ისწავლება ქართული ენა.



ბ) გარდა რვეულების იმ რაოდენობისა, რაც განკუთვნილია საკლასო სამუშაოებისათვის, თითოეულ მოსწავლეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, უნდა მისცეთ საჭირო რაოდენობით რვეულები საშინაო დავალების შესასრულებლად და ყოველი სახის ვარჯიშობისათვის, რომელსაც მოსწავლე ასრულებს გაკვეთილის პროცესში მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ შემთხვევაში შემდეგი წესი უნდა იქნეს დაცული: 1—4 კლასის მოსწავლეებს, საშინაო სამუშაოებისათვის უნდა მიეცეთ საწერი ქაღალდისაგან დამზადებული ჩვეულებრივი რვეულები, ხოლო 5—10 კლასებში ამ სამუშაოებისათვის ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს ფიქალით საწერი რვეულები და აგრეთვე ფართო მოხმარების მიზნით დამზადებული სხვადასხვა ფორმატის საწერი ალბომები, ჩასაწერი რვეულები და სხვ. (ფიქალით საწერი რვეულების მასობრივად გამოშვება უკვე დაიწყო და მას სკოლები ამ მოკლე ხანში საკმაო რაოდენობით მიიღებენ).

2. ყველა სკოლამ რვეულების დაზოგვით ხარჯვის მიზნით ამთავითვე, სასწავლო წლის დაწყების პირველდღიდანვე, უნდა ჩაატაროს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა შორის და:

ა) რადგან ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში მოიპოვება სახელმძღვანელო წიგნები, უნდა აღიკვეთოს კონსპექტების წერა და ამ მიზნით საწერი რვეულების გამოყენება.

ბ) შეაჩვიონ მოსწავლეები საწერი რვეულის მხოლოდ დანიშნულებისათვის გამოყენებას, არ დაუშვან რვეულებიდან ფურცლების ამოხევის შემთხვევები, რვეულის ყოველი გვერდი სათანადოდ გამოიყენონ და სხვ.

3. უნდა გაუფრთხილდეთ აგრეთვე მეღწიის საშრობ ქაღალდსაც, უნდა მივალწიოთ იმას, რომ საშრობი ქაღალდის დაკარგვას ადგილი არ ექნეს.

4. ფანქრისა და კალმის დაზოგვით გამოყენების მიზნით, საჭიროა შევაჩვიოთ მოსწავლეები; ა) ფანქრის წვერის ფრთხილად წათლას და ფანქრის წვერის დაცვასა და ფანქრების პატარა ნაჭრების გამოყენების მიზნით, მოსწავლეებს უნდა შევაძინოთ ბუნიკები (ფანქრის წვერსაცავი) ბ) კალმის გაწმენდას მშრალი ჩერით ყოველი ხმარების შემდეგ და კალმისტრის ისეთნაირად შენახვას ჩანთებში რომ კალმის წვერი არ გადაიღუნოს და არ დაზიანდეს.

5. აქ მოცემული მითითებების განხორციელების საქმეში განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ენებისა და მათემატიკური დისციპლინის მასწავლებლებს. მშობლიურ-რუსულ, ქართულ და უცხოენებში სწორად წერის ჩვევების გამომუშავების საქმე, ვარჯიში მათემატიკურ დისციპლინებში ამოცანებისა და მა-

კალითების ამოხსნაზე და ამის შედეგად მათემატიკის საპროგრამო კურსის მტკიცედ შეთვისება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ კლასში საჭირო რაოდენობით და სათანადო ხარისხის დაცვით ჩავატარებთ წერით სამუშაოებს, დაუგვიანებლივ და გულდასმით გავასწორებთ წერით ნამუშევრებს, განვაზოგადებთ შედეგებს და დროულად მივიღებთ ყველა საჭირო ზომას შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად. ენებისა და მათემატიკური დისციპლინების მასწავლებლებმა მთელი სისრულით უნდა გაითვალისწინონ ეს პასუხისმგებლობა და წერითი მუშაობის საქმის სწორად ორგანიზების საშუალებით უნდა უზრუნველჰყონ წერითი მეტყველების საქმეში სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა.

6. სკოლების დირექტორმა (გამგებმა) და სასწავლო ნაწილის გამგებმა ყოველდღიურად უნდა გაუწიონ მასწავლებლებს, ხელმძღვანელობა და დახმარება მოსწავლეთა მიერ რვეულების მომჭირნეობით ხარჯვისა და ფანქრებისა და კალმების დაზოგვით გამოყენების საქმეში, საჭირო შემთხვევაში უნდა მოისმინონ საკითხი პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, დროულად უნდა მიიღონ შესაფერი ზომები შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და უზრუნველჰყონ სსრ განსახკომის ამ დირექტივის განუხრელად გატარება.

ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ი : საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წ. 31 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ მ ბ ა № 4497

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. „11 აგვისტო“

ქიმიის სწავლების შესახებ სამაშულო ომის პირობებში.

აღვნიშნავ, რომ ქიმიის სწავლების სამაშულო ომის ამოცანებთან დაკავშირების საქმე საქართველოს სსრ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მრავალ საშუალო სკოლაში მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებულნი ქიმიის პროგრამებით გათვალისწინებულ კურსს. მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქიმიის, ქიმიური თავდაცვის, საბრძოლო მომწამლავე ნივთიერებების და მათ საწინააღმდეგო საშუალებათა სა-



ფუძვლიანად შესწავლის საქმეს. ბევრ არასრულ საშუალო სკოლაში გაძლიერდა ლაბორატორიული და პრაქტიკული ხასიათის საწრეო მუშაობა; სათანადო ყურადღება ექცევა სამხედრო პრაქტიკაში გამოსაყენებელ თავდაცვით საშუალებების გაცნობას მოსწავლეებისათვის და მათ ახსნას ქიმიის თეორიის ღრმად დაუფლების საფუძველზე.

საქართველოს სსრ საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებელთა დიდი ნაწილს ნათლად აქვს შეგნებული, რომ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები უნდა გახდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ქიმიური თავდაცვის აქტიური ორგანიზატორები, რის შედეგად ქიმიაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას სკოლისა და კლასგარეშე არსებულ ქიმიური ხასიათის წრეებში მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. მასწავლებლებმა ნ. ჯაფარიძემ—ქ. თბილისის მე-3 საშ. სკ., კ. უკლებამ—29-რე საშ. სკ., შ. ცაგარეიშვილმა—33 საშ. სკ., ე. გიორგაძემ—15 საშ. სკ., გაწერელიამ—42 საშ. სკ., იაროშენკომ—47 საშ. სკ., დუმბაძემ, ბორჯომის 1 საშ. სკ., სიხარულიძემ—ახალდაბის საშ. სკ., ფ. ტულუშმა—წადვერის საშ. სკ. (ბორჯომის რ.), კალანდარაშვილმა—ლანჩხუთის საშ. სკ. ქიმიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული თემის „წყალი“-ს ღრმად შესწავლის საფუძველზე მოსწავლეებს სათანადო ცოდნა მისცეს მოსალოდნელ ქიმიურ ომში ვერაგი შტრის მიერ წყლის, როგორც ერთერთი საბრძოლო საშუალებისა გამოყენებისა და მოწამლული წყლის გაუვნებლობის საშუალებების შესახებ. თემის „ჰალოგენები“-ს შესწავლასთან დაკავშირებით, მოსწავლეებს მიეცათ ცოდნა ზოგიერთ მომწამლავ ნივთიერებათა და მათ საწინააღმდეგოდ გამოყენებულ ხერხების შესახებ; ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის შეთოდების შესწავლა ორგანიზულად დაუკავშირეს საპროგრამო მასალას; ალუმინის შესწავლას დაუკავშირეს მაღალი ტემპერატურის წარმოქმნის საკითხი და ცეცხლგამჩენ ყუმბარებში არსებული ქიმიური პროცესების ანალიზი, შეისწავლეს ცეცხლსაწინააღმდეგო ქიმიური საშუალებები. მეათე კლასში ორგანული ნაერთების შესწავლისას შესაფერ ყურადღებას აქცევდნენ საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებების განხილვას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სკოლების ქიმიის მასწავლებელთა საკმაო ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო მთლიანად თავისი მუშაობის გარდაქმნა. ზოგიერთ სკოლაში ქიმიის კურსის სათანადო თემების შესწავლას ჯერ კიდევ ვერ უკავშირებენ სკოლის წინაშე ომის პირობებში მდგარ ქიმიურ თავდაცვით ამოცანებს, სათანადოდ ვერ აცნობენ მოსწავლეებს ქიმიის თეორიისა და სამ-



ხედრო ქიმიის პრაქტიკის საკითხებს, არ ატარებენ ცდებს და დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საწრეო მუშაობას: ნიგე-
ზიანის საშ. სკ., ლანჩხუთის რ. (მასწ. იმნაძე თ.). კარალეთის საშ.
სკ., გორის რ. (მასწ. ე. გიგლაშვილი), ტინისხიდის ა.ს. საშ. სკ.,
გორის რ. (მასწ. ახალკაცი); თბილისის მე-99 საშ. სკ. (მასწ. მირ-
ზოევა ფ.), მე 58 საშ. სკ. (მასწ. პავლენკო თ.), მე-6 საშ. სკ. (მასწ.
თ. კაკუშაძე).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

§ - 1

არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლე-
ბლებლებმა ქიმიის კურსის პროგრამის სათანადო თემების სწავლების
დროს ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს ქიმიური ომის და ქიმიური
თავდაცვის თეორიის საკითხები, ამასთანავე მისცენ მათ პრაქტი-
კული ჩვევები დეგანაციის შესახებ, სისტემატურად აწარმოონ პრაქ-
ტიკული სამუშაოები და სათანადო ყურადღება მიაქციონ ცდების
საქმეს.

§ - 2

ბრძანების პირველ §-ში გათვალისწინებული ამოცანის პრაქ-
ტიკულად განხორციელების მიზნით, ქიმიის პროგრამაში შემდეგი
დამატებანი იქნეს შეტანილი.

I მ ე შ ვ ი დ ე კ ლ ა ს შ ი

1. თემა—წყალი. წყალი, როგორც ეპიდემიური დაავადე-
დებათა გამავრცელებელი მიკრობების ერთერთი გარემო-
ქიმიურ მომწამლავ ნივთიერებებით წყლის მოწამვლის შე-
საძლებლობა ქიმიური ომის დროს. წყლის გაუვნებლო-
ბის საშუალებები.
2. თემა—ყანგბადი და წყალბადი. ელემენტარული
ცნობები იმპერიალისტური ომის დროს გამოყენებულ
პირველ მომწამლელ ნივთიერების შესახებ. მომწამლელ
ნივთიერებათაგან თავდაცვის საშუალებები.

ა) ინდივიდუალური თავდაცვა. აირწინადის ტი-
პები—მფილტრავი და გამაიზოლირებელი. მფილტრავი აირწინადის
გაცნობა განკვეთილი მოდელის ჩვენებით. აირწინადის გამოყენების
ჩვევების გამომუშავება (დაკეცვა, ტარების წესები და ნიღაბის
ჩაცმა).

ბ) კოლექტიური ქიმიური თავდაცვის საშუა-
ლებები. აირთავშესაფარის ტიპები—გარეშე ჰაერისაგან იზოლი-
რებული და თავშესაფარი გასუფთავებული ჰაერის მიწოდებით.

3. თემა — ქანგვა და აღდგენა.

ა) ცნება ცეცხლგამჩენი ყუმბარების შესახებ.

ბ) ცეცხლგამჩენი ყუმბარებისაგან თავდაცვის საშუალებე-
ბები აალების შემცირების ღონისძიებები, ცეცხლგამჩენი ყუმბარების
ჩაქრობის საშუალებები. აალებული საგნებისა და სითხეების ჩაქრო-
ბის ჩვევების გამომუშაება (ჩაქრობა ქსოვილების გადაფარებით,
წყლით ჩაქრობა და ცეცხლმქრობის გამოყენება).

II. მერვე კლასი

1. თემა — ჰალოგენები.

ა) საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებათა ფიზიოლოგიური კლასი-
ფიკაცია — გამაღიზიანებელი მომწამლავი ნივთიერებები, ცრემლ-
მდენი, ცხვირის დამაცემინებელი, საერთო მომწამლავი და სხვ.

ბ) მომწამლავ ნივთიერებათა ტაქტიკური კლასიფიკაცია — მე-
დეგი და არამედეგი მომწამლავი ნივთიერებები.

გ) პირველი დახმარება მოწამვლის შემთხვევაში.

დ) დევაზაციის ძირითადი საშუალებები — ფიზიკური და ქი-
მიური.

ე) სადევაზაციოდ გამოსაყენებელი ნივთიერებები:

ქლორიანი კირი, კალციუმჰიპოქლორიტი, ნატრიუმსულფიდი,
წყალბადის ზეჟანგი, კალიუმ პერმანგანატი.

ი) სადევაზაციო ხელსაწყოები.

თ) პრაქტიკული სამუშაო — ქიმიური რგოლის მუშაობა სკო-
ლის ეზოში.

2. თემა — ფოსფორი.

ფოსფორის გამოყენება სამხედრო საქმეში (მომწამლავი ნივ-
თიერების სახით და ცეცხლგამჩენ ყუმბარებში). საწინააღმდეგო —
ღონისძიებები ფოსფორით დაზიანების შემთხვევაში.

III. მეცხრე კლასი

1. თემა — ნახშირბადი.

ა) ნახშირბადი, როგორც მომწამლავ ნივთიერებათა ადსორ-
ბენტი,

ბ) აირწინაღის ქიმიზმი,

გ) ცეცხლმქრობის აგებულება, სხვადასხვა ტიპის ცეცხლ-
მქრობი, მათი მოქმედება და ქიმიზმი,

დ) ნახშირბადის გამოყენება მომწამლავ ნივთიერებათა და-
სამზადებლად და მისი ფიზიოლოგიური მოქმედება.

2. თემა — ტუტე მეტალები.

ნატრიუმისა და კალიუმის ნაერთების გამოყენება სამხედრო საქმეში (ფოსგენის და დიფოსგენის სადგვაზაციოდ).

3. თემა — მოტუტო მეტალები.

მაგნიუმის შენადნობები (მაგნალი და ელექტრონი) სამხედრო საქმეში.

4. თემა — ალუმინი.

თერმიტის გამოყენება სამხედრო საქმეში (ცეცხლგამჩენ ყუმბარებში), ყუმბარების ჩაქრობის საშუალება. ალუმინის შენადნობები სამხედრო საქმეში.

IV. მეთე კლასი

1. თემა — ნახშირწყალბადები.

ა) იბრიტი, მისი შემაღვენლობა, ფიზიოლოგიური მოქმედება და დეგაზაციის ქიმიზმი (ჰიდროლიზი, ქლორიანი კირის მოქმედება, ქლორირება და დექლორირება).

ბ) ლუიზიტი და მისგან თავდაცვის საშუალებები.

გ) ნიტროვლიცერინი, ტრინიტროტოლუოლი და დრინიტროფენოლი, როგორც ფეთქებადი ნივთიერებები; მათი გამოყენება სამხედრო საქმეში.

დ) ქლორაცეტოფენონი და მისი დექლორირება.

ე) ქლორპიკრინი და მისი დეგაზაცია.

ვ) დიფენილქლორარსინი და მისი დექლორირება.

ი) დიფერნილციანარსინი, ადამსიტი; მათი დაქანგვა და დექლორირება.

§-3

1. არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა ამ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება აწარმოონ ქიმიის მთელი სასკოლო კურსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლასთან მტკიცე კავშირში.

2. განათლების განყოფილებებმა, სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის განგებმა სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ ქიმიის მასწავლებლებს და დააწესონ კონტროლი, რათა სამხედრო ქიმიის საკითხების სწავლება ორგანულად იყოს დაკავშირებული ქიმიის მთელ სასკოლო კურსთან.

3. ზემო აღნიშნული საკითხების სწავლებისათვის მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ლიტერატურით:



1. მზად იყავ საჭაერო ქიმიური თავდაცვისათვის. სახელგამის გამოცემა 1941 წ.
2. ქიმიის სწავლება და ქვეყნის ქიმიური თავდაცვა. ვ. გეგუჩაძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
3. ქიმიის სწავლება და საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა. ვ. გეგუჩაძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1941 წ.
4. როგორ გარდაქმნათ ქიმიის სწავლება სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით. ნიკ. ჯაფარიძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.
5. ანტირელიგიური აღზრდის ზოგერთი მომენტი ქიმიის სწავლებაში. დ. ჯორჯიკია. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
6. ქიმიურ ნერთთა ძირითადი კლასები. ბ. კაკვიძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
7. ქიმიის სწავლების დამხმარე მასალები. პროფ. ლ. სმორგანსკი. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
8. ნივთიერებანი და მათი გარდაქმნა. ბოლ. ასოვი. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
9. გაზთა კანონები და მოლეკულური ფორმულები. ცვეტკოვი. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1939 წ.
10. უანგვა-აღდგენის საკითხებისათვის. ა. კალანდია. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
11. ჰალოგენები. ა. კალანდია. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა. 1940 წ.
12. მოსწავლეთა ექსკურსიები ქიმიურ წარმოებებში. შ. ცაგარეიშვილი. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
13. შეფასების ნორმები ქიმიაში. ავტორთა ჯგუფი. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1940 წ.
14. ქიმიის ლაბორატორიის მოწყობა. ნ. ჯაფარიძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.
15. ფეთქავ ნივთიერებთა შესწავლა საშუალო სკოლის კურსში. ალ. სესკივაძე და ვ. გეგუჩაძე. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა 1942 წ.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კაკვიძე

აჭარის და აფხაზეთის ასსრ-ს განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს.

1942-43 სასწავლო წლის დაწყების შესახებ გაცნობებით შემდეგს:

1. დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პირველ ოთხ კლასში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. დავალებათა შემოწმება და საშემოდგომო გამოცდები პირველი



ოთხი კლასის მოსწავლეთათვის უნდა მოეწყოს 27—29 აგვისტოს რიცხვებში.

2. არასრული საშუალო, საშუალო და მოზრდილია სკოლის მე-5—10 კლასებში, პედაგოგიურ სასწავლებლებში და უმაღლეს სკოლებში (სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტები) მასწავლებლებისა, მოსწავლეებისა და სტუდენტების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის გამო, მეცადინეობის დაწყება გადადებულია ბირველ ოქტომბრამდე.

სამემოდგომო გამოცდები არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების მე-5—10 კლასებსა და აგრეთვე პედაგოგიურ სასწავლებლებში უნდა ჩატარდეს 27—29 სექტემბრის რიცხვებში.

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის 1—4 კლასების ყველა მასწავლებლები სკოლებში უნდა გამოცხადდეს 20 აგვისტოს, 25 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ აგრეთვე არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისა და პედაგოგიურ სასწავლებლების ის მასწავლებლებიც, რომლებიც არ არიან მობილიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, ხოლო ამ სკოლების ის მასწავლებლები, რომლებიც მობილიზებული არიან, განაგრძობენ მუშაობას სათანადო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, განათლების განყოფილებებს ევალება მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდე ადგილობრივ საბჭოების მოთხოვნილებათა საფუძველზე, უზრუნველყონ არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისა და პედსასწავლებლების იმ მასწავლებლების სათანადო სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე გაგზავნა, რომლებიც ასეთ სამუშაოებში ჩაბმულნი არ არიან.

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს ეცნობება დამატებით.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის
 მოადგილე მ. ბურჭულაძე.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ
ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას,
ბას, ყველა საქალაქო და რაიონულ განათლების გან-
ყოფილებებს, დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო
სკოლებისა და პედსასწავლებლების დირექტორებს (ბაგბაძე).

1942-1943 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

1942 წ. 7 აგვისტო № 450

შემოწმებამ დაადასტურა, რომ ზოგიერთი მიღწევის მიუხედა-
ვად, ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში აღვლილი იქვს
წინაშენელოვან ჩამორჩენებს:

ა) არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკო-
ლებში ჩასაბმელი ბავშვების აღრიცხვა. ქარელის,
ყარაიას, ბაშკიჩეთის, ზემოსვანეთის, საჩხერის, ყვარელისა და ზო-
გიერთ სხვა რაიონებში არაა დაზუსტებული თუ რამდენი მ წლის
ასაკის ბავშვი უნდა ჩაირიცხოს I კლასებში;

ბ) წინასწარი სამზადისი სკოლების შეკეთე-
ბის დარგში არარის ჩატარებული და სკოლების შეკეთება დღე-
მდე არ არის დაწყებული სამტრედიის, სიღნაღის, ბორჩალოს,
ცხაკაიას, ახალქალაქის, საჩხერისა და ზოგიერთ სხვა რაიონის, ასე
მაგალითად, 20 ივლისისათვის სიღნაღისა და საჩხერის რაიონებში
სკოლებში რემონტი არ იყო დაწყებული, ახალქალაქის რაიონის
ტურცხინის, ბეჯანოის, აზმინის, გუშურდინის არასრული საშუა-
ლო სკოლების შენობები და ინვენტარი ძალზე ცუდ მდგომარეო-
ბაშია და დღემდე ამ სკოლებში არავითარი მუშაობა არ არის ჩა-
ტარებული. ცაგერის რაიონის ოყურემის საშუალო, ძგვერის, ზუბის
და აღვის არასრულ საშუალო სკოლებში წვიმა ჩამოდის, სასკოლო
ინვენტარი დაზიანებულია, მაგრამ ამ სკოლის დირექტორები ჯერაც
არ შესდგომიან სკოლების შენობის რემონტისა და ინვენტარის წეს-
რიგში მოყვანის საქმეს. უბასუხისმგებლობას იჩენენ და ძალზე ცუ-
დად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის ცხაკაიას რაიონის
ზემო-ქალაქის, ეკის, უშათათის, რეკის, თბილისის რაიონის
სოღანდულის, გიგანტის, არასრული საშუალო და საშუალო სკო-
ლები. ბორჩალოს რაიონის 36—დაწყებითი სკოლა სრულიად უყუ-
რადლებოდ არის მიტოვებული, დღემდე არც ერთ მათგანში არ
არის დაწყებული სასკოლო შენობათა რემონტი;



გ) ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებების გამგე სუსტად იბრძვის რემონტისა და განკუთვნილი თანხების დროზე მიღებისა და სკოლებზე მათი განაწილებისათვის, სიღნაღის ფოთის, დუშეთის, ხობის, თბილისის, საჩხერის რაიონების სკოლებს 20 ივლისისათვის სრულებით არ ჰქონდა მიღებული თანხა რემონტისათვის;

დ) სრულიად არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების სათბობი მასალით მომარაგების საქმე. ასე, მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის სკოლებისათვის უნდა დამზადდეს 2500 კუბიკური მეტრი შეშა, 14 ივლისისათვის დამზადებულია მხოლოდ 200 კ/მ., ცხაკაიას რაიონის სკოლებისათვის უნდა დამზადდეს 900—დამზადებული 16 კ/მ., ხობის რაიონის სკოლებისათვის უნდა დამზადდეს 1210 კ/მ. შეშა, დამზადებულია—550 კ/მ. სათბობი მასალის დამზადების საქმეში სრულიად არაფერი გაკეთებულა სიღნაღის, სამტრედიის, საჩხერის, ყარაიას, ბორჩალოს და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ე) ზოგ რაიონში ცუდად მიმდინარეობს აგრეთვე ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოს შესყიდვა. 20 ივლისისათვის სიღნაღის რაიონში შესყიდვის გეგმა შესრულებული იყო 59%, გურჯაანის რაიონში—78%-ით, სამტრედიის რაიონში—85%-ით, ფოთში—82%, ხოლო დუშეთის, ცხაკაიას, ნალენჯიხის, წყალტუბოს, ცაგერის რაიონებში გეგმის შესრულება არ აღემატება 95%-ს.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე და სკოლის დირექტორი (გამგე) უბასუხისმგებლოდ ეკიდება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს.

ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და ახალი სასწავლო წლისათვის შესაფერად მომზადების უზრუნველსაყოფად:

1. 10 აგვისტომდე დამთავრდეს სკოლებში ახლად ჩასაბმელი ბავშვების (მათშორის ევაკუირებული ბავშვებისაც) და სკოლებიდან განთესილი მოსწავლეების აღრიცხვა ცალკე სკოლების სამოქმედო უბნების მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნეს პირველ კლასებში 1934 და წინაწლებში დაბადებული ბავშვებისა, ხოლო მე-2 მე-7 კლასებში კი წინაწლებში სკოლებიდან განთესილი სკოლის ასაკის ყველა მოსწავლის ჩაბმა. ამასთან ერთად, მტკიცე კონტროლი დაწესდეს და არ იქნეს რვა წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების ჩაბმა პირველ კლასებში.

2. სიღნაღის, საჩხერის, სამტრედიის, ბორჩალოს, ყარაიას, თბილისის, დუშეთის, ყაზბეგის, ქარელის, ახალქალაქის, კასპის,



ცხაკიას განათლების განყოფილებათა გამგეებმა დაუყოვნებლივ შეამოწმონ ცალკე სკოლებში სასკოლო შენობისა და ინვენტარის რემონტის მიმდინარეობა, და უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ამ დარგში არსებულ ჩამორჩენის გამოსწორება.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიაღწიონ იმას, რომ სასკოლო ინვენტარის შეძენისა და რემონტისათვის გამოყოფილი თანხები სკოლებს მთლიანად მიეცეს არა უგვიანეს 15 აგვისტოსა.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლების სათბობი მასალით მომარაგების საქმეს. ამ მიზნით, სკოლის დირექტორები (გამგეები) დაუკავშირდნენ სოფსაბჭოების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეობების გამგეობებს და მათი დახმარებით 20 აგვისტომდე უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის სათბობი მასალის სკოლებში მოზიდვა, სათბობის დამზადების საქმეში ფართოდ იქნეს ჩაბმული უფროსი კლასების მოსწავლეები.

5. სიღნაღის, გურჯაანის, დუშეთის, სამტრედიის, ცაგერის, ცხაკიას, წალენჯიხის, წყალტუბოს განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები ნახშირი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად. ამასთან ერთად საშემოდგომო გამოცდებთან დაკავშირებით, ნახშირი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმე ფართოდ იქნეს გაშლილი რესპუბლიკის ყველა სკოლაში და მიღებული იქნეს შესყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა დააწესონ კონტროლი სავაჭრო წერტილებზე და უზრუნველყონ საჭირო რაოდენობით სასწავლო ნივთების (კალამი, კალმისტარი, მელანი, ფანქარი და სხვ.) შენახვა ახალი სასწავლო წლისათვის, მათვე უშუალოდ უხელმძღვანელონ ახლად გამოცემული წიგნების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების სკოლებზე განაწილების საქმეს და არ დაუშვან სახელმძღვანელო წიგნების სკოლების გარეშე გაყიდვა.

7. მათვე 20 აგვისტომდე შეამოწმონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა და ამის შესახებ წერილობითი მოხსენება გამოგზავნონ განსახკომში, არაუგვიანეს 20 აგვისტოსა.

განათლების სახალხო კომისარიატი იძლევა გაფრთხილებას, რომ განათლების განყოფილებების და სკოლების იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც უმოკლეს ვადაში არ გამოასწორებენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ ჩამორჩენებს, მიღებული იქნება სათანადო ზომები.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი


75კ. 38/300

გ ა ა ა წ ო რ ე ა

ბრძანებათა და განკარგულებათა კაზეტის № 7-ში დაშვებული შემდეგი
შეცდომები:

მე-5 გვ. სტრიქ. ქვევიდან მე-12 უნდა იკითხებოდეს ამგვარად: „საბუღალა“
ნ, ფაქტურად კი საბუღალოზე შესრულებული აქვს 3, ხოლო ცუდზე 25.

მე-10 გვ. სტრიქ. ქვევიდან მე-6-ში სიტყვა საჭირო უნდა იყოს სა-
ვაქრო.



პ/მე. რედაქტორი ბ. კიზირია

Сборник приказов и распоряжений
НКПресса СССР № 8—9
(на грузинском языке)
